ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 68 (612) პარასკევი, 2 აპრილი, 1993 წელი. ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 31 მარტს მდინარე გუმისთაზე დილიდან სიმშვიდე იყო შენარჩუნებული და მხოლოდ კანტიკუნტად თუ ისმოდა ავტომატური იარაღის სროლა.

დილით სოფელ ახალშენიდან მოწინააღმდეგის მხარეს სოფელ ამზარის მიდამოებში შემჩნეული იქნა მოწინააღმდეგის დიდი რაოდენობის ცოცხალი ძალა, რომელიც მოგვიანებით გააქტიურდა. გახსნა ცეცხლი კამანის მიმართულებით და ფრონტის ამ უბანზე დაიწყო პოზიციური ბრძოლა.

16 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ მდინარე გუმისთის ფრონტის ხაზზე, ახადარის ზემო და ქვემო ხიდების მონაკვეთში დაიწყო ჩვენი პოზიციების ინტენსიური საარტილერიო დაბომბვა.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს სრული საბრძოლო მზადყოფნა და გახსნეს საპასუხო საარტილერიო ცეცხლი. აქტიური პოზიციური ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები თანმიმდევრულად იქნა ჩახშობილი.

23 საათისათვის მოწინააღმდეგე მდინარე გუმისთაზე კვლავ გააქტიურდა და გახსნა ცეცხლი. ჩვენი შეიარაღებული ძალების საპასუხო ცეცხლმა მოწინააღმდეგის აქტიურობა ამჯერადაც აღკვეთა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა. მოწინააღმდეგემ დაკარგა რამდენიმე მებრძოლი. ჩვენი მხრიდან დაიჭრა სამი მეომარი, პოზიციები კი არ შეცვლილა.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, სამეგრელოს რეგიონში ვახტანგ (ლოთი) ქობალიას მოწოდებამ და აქ გამოცხადებულმა მობილიზაციამ რეგიონის მოსახლეობაში დიდი გამოხმაურება პოვა.

სამობილიზაციო პუნქტებში ცხადდება ასობით ახალგაზრდა და გამოთქვამს მზადყოფნას აფხაზეთში გასამგზავრებლად, რათა დაიცვან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

უკვე ჩამოყალიბებულია ან შექმნის პროცესშია რამდენიმე სამხედრო ნაწილი, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ტექნიკით, საბრძოლო იარაღითა და ყოველგვარი აუცილებელი სამხედრო აღჭურვილობით. უკვე ჩამოყალიბებული სამხედრო ფორმირებანი გადიან აქტიურ წვრთნას და მზადებას ანაკლიის სამხედრო ბაზაზე. ისინი უახლოეს ხანებში გაემგზავრებიან და შეუერთდებიან ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

იოსებ გოგეჩია.

◆

უკანასკნელ საათს

წუხელ ღამითაც გრძელდებოდა სოხუმის საარტილერიო დაბომბვა, რასაც რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების ჭურვებიც დაემატა. ამან, პირველი მონაცემებით, იმსხვერპლა 5 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის პოეტ ივანე თარბას მეუღლე, მსახიობი ეთერ კოღონია, რომელსაც ბომბის აფეთქებამ ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაჭრილთა რაოდენობა და ნგრევის მასშტაბები გაზეთის გამოსვლის დროისთვის საბოლოოდ არ იყო დაზუსტებული.

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

მას შემდეგ, რაც მოისმენენ, დაადგენენ...

კიდევ ერთი ირონიული გამოთქმა დაგვიტოვა ჩვენმა წარსულმა — „მოისმინეს, დაადგინეს, კრება დარჩა მხიარულიო", მოგეხსენებათ, ეს იმ აბსურდულ სიტუაციას გამოხატავდა, როდესაც პარტიულ კრებებზე განხილული პრობლემატიკა თავისთვის იყო, კარს მიღმა ცხოვრება კი — თავისთვის. ეს მაშინ გამახსენდა, როდესაც პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ საქართველოს პარლამენტის მუშაობის ხუთი თვის ანგარიშით გამოსვლისას ჩამოთვალა: სულ პარლამენტის სამოცდასამ სხდომაზე ამდენი და ამდენი კანონი, მიმართვა, განცხადება მივიღეთო. დღევანდელ საქართველოში კი ამდენი კანონი რომ კანონობდეს, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაუყეფდა მართლაც.

კრიტიკის გარდა თვითკრიტიკაც არსებობს, არც ის არის გამორიცხული, რომ სუბიექტური ვარ და წარსულთან რემინისცენციები ზედმეტად ხშირად მიჩნდება, ალბათ, იმიტომ, მეტისმეტად რომ მეშინია მათი, მეშინია გამეორებების; მეშინია, რადგან დადგენილებები ისმინება, მიიღება, კარს მიღმა ურთიერთდაპირისპირებას კი საშველი არ ადგება.

საქართველოს გაერთიანების იდეა კი ამასობაში ერთ-ერთი გაზეთისათვის საპირველაპრილო ხუმრობის საგნად იქცა.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ თავიდანვე განუცხადა კოლეგებს, რომ ეს არ არის სრულყოფილი ანგარიში, უბრალოდ, ინფორმაციაა. შედარებით საფუძვლიანი ანგარიშებით პარლამენტს წარუდგებიან მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები და ფრაქციათა ლიდერები, ხოლო ბოლოს მუშაობას შეაჯამებს პარლამენტის თავმჯდომარე.

აღინიშნა ისიც, რომ პარლამენტს რთულ პირობებში უხდება საქმიანობა, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი არ არის.

დისციპლინის და ეთიკის პრობლემებზე საუბრისას სპიკერმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ბევრი დეპუტატი ძალზე ხშირად უმიზეზოდ აცდენს სხდომებს. პარლამენტარი კი პარლამენტის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს ძირითადად. მან ისიც გაიხსენა, თუ რა მძიმე პირობებში მიმდინარეობდა საარჩევნო კანონზე მუშაობა, ამიტომ, ეტყობა, ბევრი ნიუანსი ბოლომდე ვერ დამუშავდა. დეპუტატებისათვის შეთავსების საკითხშიც, ალბათ, მეტი სინათლეა შესატანი, რადგან შეთავსებაც არის და შეთავსებაც. მაგალითად, ბატონი ასლან აბაშიძე კენჭს როცა იყრიდა, ხომ მაშინვე ყველას უნდა ცოდნოდა, რომ იგი ან აჭარაში უნდა იყოს მუდამ, ან აქ — პარლამენტში. ამიტომ რაღა გასაკვირია, რომ ის პარლამენტის საპატიო წევრად იქცა. „და არა მხოლოდ იგი, ასეთი თეორიული წევრები სხვაც ბევრი ყავს ჩვენს პარლამენტს", — თქვა ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ.

დასავლეთმა პოლიტიკური კრედიტი გაგვიღო ჩვენთვის, როდესაც არალეგიტიმური ხელისუფლების მქონე ქვეყანა გაეროს წევრად მიგვიღო. ჩვენ ეს ნისია უნდა გადავიხადოთ იმით, რომ ნამდვილად დემოკრატიული პარლამენტი შევქმნათ, — განაგრძო სპიკერმა; და ოპტიმისტურ ნოტაზე დაამთავრა: — ჩვენი პარლამენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი კურსი ამის იმედს იძლევა.

შემდეგ სხდომაზე პირველი წაკითხვით მიიღეს „კანონი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ", რომელიც განსახილველად გამოიტანა ბატონმა რევაზ ადამიამ.

მომდევნო საკითხზე — „მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ კონფლიქტის იმ ზონიდან, რომელსაც გუდაუთის დაჯგუფება აკონტროლებს", რომელზეც მოხსენებით გიორგი ბარამიძე გამოვიდა, პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომ ფიზიკური გადარჩენის მიზნით მშვიდობიანი მოსახლეობა ევაკუირებულ იქნას კონფლიქტის ზონიდან სიცოცხლისათვის უსაფრთხო ტერიტორიებზე. ითქვა ისიც, რომ მსოფლიოს ვთხოვოთ მოგვეხმაროს აფხაზეთში ჩვენი ერის ფაქტობრივი გენოციდის შეჩერებაში.

ნაშუადღევს სხდომა განახლდა.

საკითხები, მსჯელობანი, კამათი, დადგენილებები... რას მოველით მათგან? რის იმედი გვაქვს? (კი, იმედს ჯერ კიდევ ყველა არ მივუტოვებივართ, დალოცვილი გრძნობაა — ბოლომდე ერთგულად უდგას ადამიანს გვერდით), რა უნდა იყოს მას შემდეგ, რაც მოისმენენ, დაადგენენ?! კონკრეტული საქმე, თუ დავრჩეთ ისევ კრებამხიარული. გვემხიარულებოდეს მაინც...

ეს პატარა სასიამოვნო ახალი ამბავი კი სხდომის დასაწყისში ითქვა. მე ტკბილ ლუკმად ბოლოსთვის მოვიტოვე — პარლამენტის წევრს თემურ ჟორჟოლიანს მეექვსე შვილი — ვაჟი შეეძინა. ვულოცავთ!

გალინა ხარებაშვილი,
„სრ" პარლამენტის კორესპონდენტი.

საქართველო მზად არის ყოველწლიურად დააბანდოს რუსეთის ეკონომიკაში 150 მილიონამდე დოლარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა უპასუხებს ეგორ დრუზენკოს კითხვებს

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, რა დანაკარგები ადგება საქართველოს აფხაზეთში მიმდინარე ომის შედეგად?

— ყოველდღიურად რესპუბლიკა კარგავს 8-10 მილიონ მანეთს (წლიწადზე გადაანგარიშებით ეს შეადგენს 3,5 მილიარდს). ძირითადად ეს ის ფულია, რომელიც ხმარდება სამხედრო ტექნიკის საწვავსა და მომსახურებას, ხაზს ვუსვამ, მხოლოდ მომსახურებას — საქართველო არ იწევს იარაღის არავითარ შესყიდვას საზღვარგარეთ.

— როგორია საბიუჯეტო პროგნოზები 1993 წლისთვის?

— ჩვენი ექსპერტების აზრით, ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შეადგენს დაახლოებით 250 მილიარდ მანეთს. მოსალოდნელია დიდი საბიუჯეტო დეფიციტი, არანაკლებ 50 პროცენტისა. ფული არ გვყოფნის, ამიტომ, დამყარებული გვაქვს მჭიდრო კონტაქტები სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან, მათ შორის, მსოფლიოს სავალუტო ფონდთან და ევროპის განვითარების ბანკთან. შარშან მივიღეთ პირველი მნიშვნელოვანი კრედიტი — 70 მილიონი ეკიუ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისაგან. ეს ფული ხმარდება ხორბლის, შაქრის, კარაქის, რძის ფხვნილისა და სხვა პროდუქტების შესყიდვას გაერთიანების ქვეყნებში. ძირითადი მომწოდებლები არიან საფრანგეთის, ავსტრიის, ჰოლანდიის, ირლანდიის ფირმები.

— რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე შექმნილი სიტუაციის შესახებ?

— ჩვენი წლიური მოთხოვნილება ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე შეადგენს დაახლოებით 5 მილიონ ტონას, წინათ 3,5-3,7 მილიონს ვიღებდით რუსეთისაგან, დანარჩენს აზერბაიჯანი გვაძლევდა. რუსეთიდან მოწოდების შეწყვეტის შემდეგ იძულებული ვართ დავჯერდეთ აზერბაიჯანის კვოტას, რომელიც არ არის საკმარისი ეკონომიკური მუშაობისათვის, თუ ფასზე ვილაპარაკებთ — ამჟამად, ბაქო ტონა ნედლ ნავთობს გვაძლევს 30 ათას მანეთად.

რაც შეეხება ბუნებრივ გაზს, აქ სიტუაცია არც ისე დაძაბულია. საქართველოს ყოველწლიური მოთხოვნილებაა — ეს არის დაახლოებით 5,5 მილიარდი კუბური მეტრი, რასაც ძირითადად უზრუნველყოფს თურქმენეთი (უკანასკნელ ხანს 1000 კუბური მეტრი ფასმა უკვე 20 ათასი მანეთი შეადგინა). მიუხედავად იმისა, რომ მილსადენი რუსეთის ტერიტორიაზე გადის, ჯერჯერობით ტრანზიტით დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არ გვქონია. და მაინც, გვინდა, მოველაპარაკოთ ირანს გაზის მოწოდების შესახებ. ამ საკითხზე მე უკვე ვიმსჯელე ირანის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების დროს, და ისინი გაგებით შეგვხვდნენ.

— ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოს განზრახული აქვს ეძებოს ენერგოშემცველთა ახალი მომწოდებლები?

— ჩვენთვის გადამწყვეტ როლს ასრულებს რუსეთის მოწოდება, და ძალიან გვაღიზიანებს შემცველის პოზა. იმედი მაქვს, რომ ნავთობისა და გაზის სამთავრობათშორისო საბჭოს შექმნის შემდეგ (რის თაობაზეც მორიგება უკვე მიღწეულია, სურგუთში ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების სამთავრობო დელეგაციათა შეხვედრაზე — მ. დ.), რუსეთი განაახლებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოწოდებას.

ამის სანაცვლოდ ჩვენ შეგვიძლია ყოველწლიურად შევთავაზოთ 5-7 ათასი ელექტროძრავა, დაახლოებით 200 ათასი ტონა მილი ნავთობსარეწაოსათვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან. გარდა ამისა, საქართველო მზად არის აამოქმედოს თავისი სიმძლავრეები ტიუმენსა და რუსეთის სხვა რაიონებში მშენებლობისათვის. საქართველოს დაბანდებათა საერთო ღირებულებამ, ჩვენი გაანგარიშებით, უნდა შეადგინოს 150 მილიონი დოლარი წლიწადში მსოფლიო ფასებით.

ჩვენი პროდუქციით დაინტერესებულია მრავალი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ ძირითადად მაინც რუსეთი გვირჩევნია. ერთი მხრივ, ჩვენ დაინტერესებული ვართ მისი ნავთობით, მეორე მხრივ, — საქართველოს ტრადიციული და კარგად მოგვარებული ურთიერთობა აქვს რუსეთთან.

— როგორია ძირითადი პოზიციები, რომელთა მიხედვითაც, იღებს რესპუბლიკა ექსპორტის შემოსავალს?

— ლითონპროდუქციის გარდა, ეს არის ქიმიური სასუქი, მანგანუმის ფეროშენადნობები, „მეტეორის" და „კომეტას" ტიპის წყალქვეშაფრთიანი ხომალდები. სულ ექსპორტის შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1 მილიარდ დოლარს წლიწადში.

საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო ტურიზმი, აფხაზეთის ომი რომ არა. უკვე მეორე სეზონია, შავი ზღვის სანაპირო „მკვდარია", ჩვენი შეფასებით, ტურისტული სერვისის ახლანდელი დონის პირობებშიც კი რესპუბლიკას შეეძლო ყოველწლიურად მიეღო 700-800 მილიონი დოლარი. ეს ციფრი შეიძლება გაიზარდოს 2,5 მილიარდამდე, თუ ტურისტულ ბიზნესს შევუსაბამებთ საერთაშორისო სტანდარტებს.

— მოახდინა თუ არა ომმა გავლენა უცხოელ ინვესტორთა აქტიურობაზე?

— წლის დამდეგს მე ვფიქრობდი, რომ ინვესტიციები არ იქნებოდა — და შევცდი. ისინი ყოვნდება, მაგრამ მაინც შემოდის. ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და იმედისმომცემი პროექტია ფოთის საზღვაო ნავსადგურის რეკონსტრუქცია, რომლისთვისაც ევროპის გაერთიანებამ ტექნიკური კრედიტი გამოგვიყო. დღეს ტვირთბრუნვა ნავსადგურში შეადგენს 5,6 მილიონ ტონას, რეკონსტრუქციის შემდეგ 40 მილიონ ტონამდე გაიზრდება. ეს კი უკვე ევროპის დიდი ნავსადგურის დონეა. წინასწარ გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ პროექტი, 5 მილიარდი დოლარი დაჯდება. ჩვენ გვინდა შევქმნათ ღია საერთაშორისო სააქციო საზოგადოება. და მრავალი ქვეყანა მზად არის დააბანდოს თავისი კაპიტალი — ესენი არიან, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, საუდის არაბეთი, ისრაელი, თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც. დაინტერესება გამოიჩინეს აგრეთვე, თანამეგობრობის შუა აზიის რესპუბლიკებმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა. მათთვის ხომ ჩვენი ნავსადგური ყველაზე მოკლე გზაა ევროპის ბაზრებზე გასასვლელად.

— რა შეგიძლიათ თქვათ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის მდგომარეობაზე?

— მე მიმაჩნია, რომ ეს ურთიერთობა არ უნდა დავუკავშიროთ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს. ჩვენმა ქვეყნებმა, რაც შეიძლება მალე უნდა მოაწყონ ხელი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას და განაახლონ ორმხრივ ხელსაყრელი ვაჭრობა.

გაზეთი „ფინანსოვიე იზვესტია", № 19.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს თავის პატივისცემას რუსეთის ფედერაციის საელჩოსადმი და აქვს პატივი აცნობოს შემდეგი:

ამა წლის 31 მარტს იტარ-საკდესი იუწყებოდა, რომ სოხუმში არ არის წყალი და გაზი, აკლიათ პროდუქტები. მაგრამ სააგენტო არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს არის გუდაუთელ სეპარატისტ ვანდალთა ნახელავი, რომლებიც სარგებლობენ რუსეთის ჯარების შეუზღუდავი მხარდაჭერით, და რომელთა დივერსიული მოქმედების შედეგად კვლავ და კვლავ გამოდის მწყობრიდან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც იტანჯება ათიათასობით უდანაშაულო ადამიანი, ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები.

იმოწმებს რა საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლის მოადგილის გენერალ ა. ჩინდაროვის განცხადებას, იტარ-საკდესი ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს რუსეთის საზოგადოებრიობა: რუსებს აბუჩად იგდებენ და შეურაცხყოფენ, ამტკიცებს ბატონი ჩინდაროვი. როგორც იგი ამბობს, საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენი თანამემამულეებისადმი ცივილიზებული ურთიერთობის ყველა ფარგლებს სცილდება და ქვეყნის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ ჩარევას საჭიროებსო.

ამ ყალბი და ცინიკური განცხადების მიზანი ისაა აქვს დასახული, რომ მიჩქმალოს აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების ოპერატიული დაჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულობათა სისხლიანი კვალი. რეალური სინამდვილე კი საზარელი და ტრაგიკულია. იმის შედეგად, რომ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ბომბავენ მშვიდობიან ქალაქს, დანგრეულია 800 სახლი. დაიღუპა 100-ზე მეტი მოქალაქე, მათგან 24 კაცი რუსია, დიდია მსხვერპლი ადგილობრივ სომხებს, ბერძნებს, რუსულენოვანი მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებს შორის, ასობით მათგანი კი დაჭრილი და დასახიჩრებულია.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ რუსეთში მოქმედებენ გავლენიანი ძალები, რომლებიც ამჯობინებენ კვლავინდებურად მიმართონ ძალისმიერ ხერხებს, ნაცვლად იმისა, რომ კოლექტიური ძალისხმევით მიაღწიონ კრიზისული სიტუაციის შენელებას, რადგან ეს დიდ საფრთხეს უქმნის მთელი რეგიონის მშვიდობიან მომავალს.

რუს და უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინ იწვია სოხუმს ადგილზე გაეცნო ამ ფრონტისპირა ქალაქში შექმნილ უმძიმეს ვითარებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს, ისევე როგორც ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარის პირადი წარმომადგენლის მისიის წევრებს არ აღუნიშნავთ არაქართველი ეროვნების პირთა შევიწროების ან ადამიანის უფლებათა დარღვევის არც ერთი ფაქტი.

დოკუმენტურად დაფიქსირებულია საქართველოში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელთა მრავალი გამონათქვამები, რომლებიც არაერთგზის არის გაშუქებული ტელევიზიით, რადიოთი და დაბეჭდილია პრესაში. ისინი მოწმობენ, რომ საქართველოში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დარღვევის და ეროვნული ნიშნით შევიწროების პრობლემები.

ჩვენ ახლაც მზადა ვართ მივიღოთ, უფრო მეტიც, მოვიწვიოთ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის ფაქტების დამდგენი წარმომადგენლობითი კომისია, რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი, რომელშიც იქნებიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების წარმომადგენლები, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა სახეობის საშუალებათა ჟურნალისტები, რათა ისინი ადგილზე, ობიექტურად დარწმუნდნენ, რომ უსაფუძვლოა გენერალ-ლეიტენანტ ა. ჩინდაროვის მტკიცებანი.

მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ აშკარა აგრესიის პროპაგანდისტულ უზრუნველყოფად უნდა შევაფასოთ ყურით მოთრეული თეზისი რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებათა დარღვევის შესახებ, თუმცა მათმა ავტორებმა კარგად იციან, რომ ანტირუსული განწყობილებების გამოვლინებისა და რუსთა შევიწროების ფაქტები მხოლოდ მათ წარმოსახვაში არსებობს.

საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლის მოადგილის განცხადება უნებურად იმის დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს, რომ პირობებში, როცა მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ცხადი ხდება რუსეთის ჯარების ჩარევა აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე კონფლიქტში, სამხედრო სარდლობის ზოგიერთ წარმომადგენელს საბაბი იმისათვის სჭირდება, რომ დააკანონოს ეს ჩარევა და გაამართლოს რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფების ყოფნა კონფლიქტის ზონაში სუვერენული სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ნების საწინააღმდეგოდ, რაც გამოიხატა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამას გააცნობენ რუსეთის ფედერაციის შესაბამის ხელისუფლებს, და ისარგებლობს შემთხვევით, რათა საელჩო კვლავ დაარწმუნოს, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემს მას.

ქ. თბილისი,
1993 წლის 31 მარტი.

ნომერში

⊙ მოწესრიგდება საბიუჯეტო სისტემა. 2
⊙ რამდენიც კაცია, იმდენი აზრია. 3

საქართველოს პარლამენტის
მიმართვა
გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს

საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების მეშვეობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ხორციელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელსაც ქართველი და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული აშკარა გენოციდის ხასიათი მიენიჭა. სისტემატური მასობრივი მკვლელობა, დახვრეტა და არნახული შევიწროება აიძულებს ქართველ მოსახლეობას მიატოვოს საცხოვრებელი ადგილები.

საქართველოს პარლამენტი ამ პოლიტიკას მიიჩნევს ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის განგრძობად, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ჩვენი დამოუკიდებლობის ხელყოფას.

ზემოაღნიშნული პოლიტიკისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს, რომელიც თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად მხარს უჭერს გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებას.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართონ ქმედით ღონისძიებებს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის აღსაკვეთად, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და გუდაუთის ფორმირებათა კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის დასაცავად.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით რესპუბლიკის კანონებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტლებისა და 1994-1995 წლების ბიუჯეტების პროექტები შედგეს „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 1993 წლის აპრილის ბოლომდე საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალებისა და 1994-1995 წლების ბიუჯეტების შესადგენად ეკონომიკური ნორმატივების, აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის ბანკის გრძელვადიანი სესხების ოდენობისა და საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტები.

4. ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და სხვა ღონისძიებების დაფინანსება 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალების ბიუჯეტების დამტკიცებამდე მოხდეს 1993 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებიდან გამომდინარე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის
დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების მიმოქცევაში გაშვების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად (კარი II, მუხლი 8) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობა ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საქმეში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების, ხელფასების, პენსია-დახმარებების, სტიპენდიებისა და სხვა გაცემების ხანგრძლივი დავალიანების აღმოფხვრის მიზნით გამოშვებულ იქნეს მიმოქცევაში 1993 წლის 5 აპრილიდან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონები 5, 10, 50, 100, 500, 1000, 5000 და 10000 ღირებულების ნომინალებით, რომლებიც მიმოიქცევა მოქმედი მანეთის პარალელურად.

2. თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვროს 1:1.

3. აღირიცხოს მიმოქცევაში გამოშვებული კუპონები ემისიის საერთო თანხაში მანეთის ექვივალენტურად.

4. დამტკიცდეს ინსტრუქცია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გაცემის, მიღების, აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ, თანახმად დანართისა.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ცენტრალურ ბანკებს, რეგიონალურ საანგარიშსწორებო ცენტრებს უზრუნველყონ კუპონებით საბანკო დაწესებულებანი თანახმად მათი განცხადებისა საკორესპონდენტო ანგარიშებიდან სათანადო თანხის ჩამოწერის შემდეგ.

6. დაევალოს საკასო-საემისიო ოპერაციებისა და ფასეულობის დაცვის სამმართველოს (ჯ. ბერიკაული) და ინკასაციისა და სპეცგადაზიდვების სამმართველოს (დ. კომახიძე) დადგენილი კუპიურული თანაფარდობის დაცვით ოპერატიულად უზრუნველყონ საბანკო დაწესებულებათა მომარაგება კუპონებით.

7. კუპონების შემოღებასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის სტრუქტურულმა ქვედანაყოფებმა შეიმუშაონ და წარმოადგინონ წინადადებები ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ ნორმატიულ და ინსტრუქციულ დოკუმენტებში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე.

8. დაევალოს ფულის მიმოქცევის სამმართველოს (ვ. სახაროვი) ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები ეკონომიკაში საკასო ოპერაციების წარმოების წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

9. დაევალოს ფულის მიმოქცევის (ვ. სახაროვი) და ეკონომიკისა და საკრედიტო პოლიტიკის სამმართველოებს (ა. ცუცქირიძე) ნაღდი ფულის ბრუნვადობის რეგულირების და კუპონების ემისიის განსაზღვრის მიზნით ყოველკვარტალურად, კვარტლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დასამტკიცებლად წარუდგინონ ეროვნული ბანკის გამგეობას საკრედიტო და ფულადი ემისიის პროგნოზული გაანგარიშებები.

10. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი დაევალოს კუპონების გამოშვებასთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკში შექმნილ შტაბს.

დ. დვალიშვილი.

ქ. თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

განცხადება

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა გაიმართება 1993 წლის 3 აპრილს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

სხდომის დასაწყისი 11 საათზე. კომისიის წევრთა რეგისტრაცია დაიწყება 10 საათსა და 30 წუთზე.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების მეშვეობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ხორციელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელსაც ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის ხასიათი მიენიჭა.

მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს უმოკლეს ვადაში შექმნას მშვიდობიანი მოსახლეობის, მძევალთა და ტყვეთა გამოხსნის საგანგებო კომისია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტყვეთა გამოხსნის კომისიასთან ერთად დასახავს და განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს დაკისრებული ამოცანების გადასაწყვეტად. თუ საჭირო გახდა, გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან დასაშვებად იქნეს მიჩნეული მშვიდობიანი მოსახლეობის დროებითი გამოყვანა მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

2. შექმნილი ვითარების შესწავლისა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით აფხაზეთში ოპერატიულად გაიგზავნოს საქართველოს პარლამენტის, ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს და მინისტრთა კაბინეტის წევრთა დელეგაცია ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე კავსაძის ხელმძღვანელობით.

3. დაუყოვნებლივ მიექცეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო ქვეყნის შემწეობით მიმდინარე ეთნიკური წმენდის ფაქტებს, მათი უშუალო გამომწვევი მიზეზის — აგრესიის აღკვეთის მიზნით.

4. საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ, მინისტრთა კაბინეტმა მიმართონ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა თავიანთ საცხოვრებელ კერებში დაბრუნებას და ამისთვის სათანადო პირობების შექმნას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ

კარი პირველი
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ. განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების (შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტები) შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითად პრინციპებს და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი საქართველოს რესპუბლიკის ფულადი სახსრების მობილიზაციისა და მისი გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმაა.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში თავმოყრილია ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის ნაწილი ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული ფონდების სახით, რომელიც იქმნება უპირატესად საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების, უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების შემოსავლებიდან, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი გადასახადების გადახდისა და სახსრების ნებაყოფლობითი შეტანის გზით და გამოიყენება სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური განვითარების, ქვეყნის თავდაცვისა და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი საბიუჯეტო სისტემა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის საფუძველზე და მოიცავს საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების დამოუკიდებლობას განაპირობებს ბიუჯეტის ყველა რგოლის უზრუნველყოფა საკუთარი შემოსავლითა და დადგენილი წესით დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული შემოსავლით, რომელთა გამოყენების მიმართულებებს უშუალოდ განსაზღვრავენ საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომ ორგანოებს არა აქვთ უფლება ადმინისტრაციული წესით ჩაერიონ სახელმწიფო იერარქიის ქვემდგომი საფეხურების საბიუჯეტო უფლებებში.

ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისათვის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების, ისე საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის შესრულებისათვის. ამასთანავე ისინი დადგენილი წესით პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლის შეჩერების ან სხვა დანიშნულებით მიმართვისათვის.

მუხლი 4. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებისათვის გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკურ ნორმატივებს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი 3-5 წლის ვადით.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო-საფინანსო მექანიზმის ფუნქციონირების უმთავრესი პირობაა ბიუჯეტის დაბალანსება.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების პროექტებს შეიმუშავებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის შესაბამისი ორგანოები საკუთარი შემოსავლისა და დადგენილი წესით დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით გადასახადებიდან განსაზღვრული შემოსავლის ფარგლებში და ამტკიცებენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შედგენას, განხილვასა და შესრულებას ორგანიზაციას უწევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტები მტკიცდება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების ფორმირებისათვის გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკურ ნორმატივებს (პროცენტობით) მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ბანკის სესხების გამოყენების ლიმიტების პროექტებს;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას ძირითადი წყაროების გამოყოფით და გასავლის საერთო თანხას საბიუჯეტო ასიგნებების ძირითადი მიმართულებების მიხედვით.

მუხლი 8. საქართველოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ფორმირებისათვის იღებს კანონებს გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკური ნორმატივებისა და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის ბანკის გრძელვადიანი სესხის ოდენობას.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას ძირითადი წყაროების მიხედვით და გასავლის საერთო თანხას, მისი ძირითადი მიმართულებების მიხედვით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან ერთად განიხილება და მტკიცდება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სხვა მიზნობრივი სახელმწიფო ფონდები მათი შემოსავლისა და გასავლის სახეობათა მიხედვით.

მუხლი 10. წლის განმავლობაში შემოსავლისა და ხარჯების დაწესებული დონიდან გადახრების შემთხვევას (გარდა ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ცვლილებებისა), რომელიც მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს, განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომლებიც ზრდის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებს ან ამცირებს მათ შემოსავალს, ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები უნაზღაურდებათ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში კი შესაბამისი სახსრები გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს ამტკიცებენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულებაში ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებს უსასყიდლოდ ემსახურებიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი და მისი დავალებით სხვა ბანკები.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკაში საფინანსო (საბიუჯეტო) წელი წესდება 12 თვით (კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით). საანგარიშო წელი მოიცავს საფინანსო წელს პლუს თხუთმეტდღიანი საშეღავათო პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში წარმოებს დასკვნითი ოპერაციები ბიუჯეტის შესრულების პროცესში ნაკისრი ვალდებულებებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაითვალისწინება ასიგნებანი სახელმწიფო ვალის დასაფარავად და მისი სარგებლობისათვის პროცენტების გადასახდელად.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის. ანალოგიურად ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკების კანონები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები შესაბამისი ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტების შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტებული თანხა, რომელიც წლის ბოლოსათვის წარმოიშვა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავლის დაზოგვის შედეგად, რჩება შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში.

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში გათვალისწინებულ ხარჯებს გარდა იქმნება გარდამავალი საბრუნავი სახსრები, რომელთა ოდენობა განისაზღვრება ბიუჯეტების დამტკიცებისას.

მუხლი 18. ბიუჯეტის გასავლის შემოსავალზე გადამეტების (დეფიციტის) შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები იყენებენ ხარჯების სეკვესტრის მექანიზმს, ამ ღონისძიების შემდეგ ბიუჯეტის დარჩენილი დეფიციტი დაიფარება აგრეთვე სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებითა და ბანკის სესხებით, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ინვესტიციების დასაფინანსებლად გამოიყენება.

მუხლი 19. საგადასახადო სისტემა რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების კონტროლი ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკაში, ან მის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საგანგებო ბიუჯეტის შესახებ იმ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საგანგებო მდგომარეობასთან.

საგანგებო ხარჯების დასაფინანსებლად დამატებით გადასახადებს, მოსაკრებლებსა და შესატანებს აწესებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით.

კარი მეორე
საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომლებიც ხმარდება საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური, ქვეყნის თავდაცვისა და სხვა ღონისძიებების, აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის პროგრამების დაფინანსებას.

ეკონომიკის უთანაბრო განვითარების გამო და ერთიანი სოციალური პროგრამის განხორციელების მიზნით რესპუბლიკური ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება შემოსავლის გადანაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და შესაბამისი საფინანსო წლის დაწყებამდე სამ-ნახევარი თვით ადრე წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი შესაბამისი საფინანსო წლის დაწყებამდე ორ-ნახევარი თვით ადრე შეაქვს განსახილველად საქართველოს პარლამენტში.

მუხლი 25. საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის კომისიებში განიხილება 20 დღის განმავლობაში.

საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვის ორგანიზება ევალება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მუხლი 26. საქართველოს პარლამენტი არაუგვიანეს 20 დღის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენებების მოსმენისა და განხილვის შემდეგ ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 27. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს კანონს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ვალდებულია ორი კვირის ვადაში წარუდგინოს მას ამ კანონპროექტის ახალი ვარიანტი.

პარლამენტისათვის ხელმეორედ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს მოითხოვოს ერთი კვირა ბიუჯეტის პროექტის კორექტირებისათვის.

თუ პარლამენტმა არ მიიღო ბიუჯეტი ასეთი კორექტირების შემდეგაც, დღის წესრიგში დგება მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი. ნდობის გამოცხადების შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტი მიიჩნევა დამტკიცებულად.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოხერხდა, კანონის მიღებამდე ბიუჯეტის აღსრულების საფუძველია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილება.

მუხლი 28. სავალუტო ოპერაციების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდი, რომლის შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი, სესხები, საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა და სხვა შემოსავალი.

აღნიშნული ფონდი რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და მისი სახსრები გამოიყენება სახელმწიფო საგარეო ვალის დაფარვისა და მომსახურებისათვის, რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 29. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში მთლიანად ჩაირიცხება:

— აქციზის გადასახადი;

— სატრანზიტო გადასახადი;

— ექსპორტ-იმპორტის გადასახადი;

— სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— ფულისა და ნივთების სახელმწიფო ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— სახელმწიფო მატერიალური რეზერვების რეალიზაციით და ეროვნულ ფასეულობათა ფონდის მარაგის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდიდან ვალუტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— სახელმწიფო ბანკიდან მიღებული სესხები და გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული შემოსავალი;

— სხვა გადასახადები და შემოსავალი, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხვას ექვემდებარება;

გარდა ამისა, რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით გათვალისწინებული:

დამატებული ღირებულების გადასახადი,
მიწის გადასახადი,
საბაჟო გადასახადი.

მუხლი 30. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემოსავლის გადანაწილების ფონდი, რომელშიც თავს იყრის მოგებიდან და საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხები საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად; აღნიშნული ფონდიდან სახსრების განაწილებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 31. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი გამოიყენება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, როგორიცაა:

ინვესტიციები და სუბსიდიები, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, გეოლოგიურ-სადაზვერვო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, ტყეების მოვლა-დაცვა და გაშენება, გარემოს დაცვა, ჰიდრომელიორაციული სამუშაოები, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მშენებლობა და ექსპლუატაცია, რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა პროგრამები.

— სახელმწიფოთაშორისო ერთობლივი და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები;

— საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების რესპუბლიკური ღონისძიებები;

— სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების შენახვა;

— რესპუბლიკური დაქვემდებარების სამართალდამცავი ორგანოების შენახვა;

— ქვეყნის თავდაცვა;

— სახელმწიფო რეზერვებისა და ეროვნულ ფასეულობათა ფონდის შევსება;

— აღებული კრედიტებისა და სახელმწიფო ვალის დაფარვა და მომსახურება;

— სხვა ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

მუხლი 32. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენლობაში იქმნება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდები.

მუხლი 33. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი სრულდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი განწერის მიხედვით.

მუხლი 34. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილ ვადებში ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შესაბამისი რეგიონების დამტკიცებულ ბიუჯეტებს და ამ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო მიღებული მასალების საფუძველზე ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების ნაერთებს და წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და საქართველოს პარლამენტს.

კარი მესამე
ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები

მუხლი 35. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში თავს იყრის ის ფულადი სახსრები, რომლებიც ხმარდება ავტონომიური რესპუბლიკის საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების, მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯების, აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას.

ეკონომიკის არათანაბარი განვითარების გამო და ერთიანი სოციალური პროგრამების განხორციელების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების მეშვეობით ხორციელდება შემოსავლის გადანაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის.

მუხლი 36. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების პროექტებს ადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები და შესაბამისი საფინანსო წლის დაწყებამდე ორ-ნახევარი თვით ადრე წარადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში.

მუხლი 37. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტები შესაბამისი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ერთ-ნახევარი თვით ადრე განსახილველად შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებში.

მუხლი 38. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების კომისიებში განიხილება 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 39. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიათა მოხსენებების მოსმენისა და განხილვის შემდეგ ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 40. ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომლებიც ზრდის მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებს ან ამცირებს მათ შემოსავალს, ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები უნაზღაურდებათ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლის გაზრდის შემთხვევაში კი შესაბამისი სახსრები გადაეცემა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს.

მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სისტემა განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის საფუძველზე. ამის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო სისტემა მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მასში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

მუხლი 42. სავალუტო ოპერაციების უზრუნველყოფისათვის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან იქმნება ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სავალუტო ფონდები, რომელთა შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა.

აღნიშნული ფონდების სახსრები გამოიყენება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავალში ჩაირიცხება:

— საქართველოს პარლამენტის მიერ ავტონომიური რესპუბლიკებისათვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ დამტკიცებული ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ეკონომიკური ნორმატივებით განსაზღვრული შემოსავალი:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი;

ბ) მიწის გადასახადი;

გ) საბაჟო გადასახადი;

დ) მოგებიდან გადასახადი;

ე) საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადი.

— მიღებული სესხები, აგრეთვე გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი;

— სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისად.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემოსავლის გადანაწილების ფონდი, რომელშიც თავს იყრის მოგებიდან და საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად, აღნიშნული ფონდიდან სახსრების განაწილებას ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავალი გამოიყენება:

1. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური დაქვემდებარების განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მომსახურების სხვა სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების, ღონისძიებების, მიზნობრივი ინვესტიციების, სუბსიდიების, აგრეთვე გარემოს დაცვისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად;
2. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შესანახად;
3. საბიუჯეტო სესხის გამოსაყოფად;
4. აღებული სესხების დასაფარავად და მათი მომსახურებისათვის;
5. იმ სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან დაფინანსებას.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემადგენლობაში იქმნება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდი.

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ, საქალაქო, ქალაქის რაიონის, რაიონულ და სხვა ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავენ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოები მათთვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების ფარგლებში.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები სრულდება ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების მიერ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების შესაბამისად შედგენილი განწერის მიხედვით.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შესაბამისი რეგიონების დამტკიცებულ ბიუჯეტებს და ამ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილ ვადებში წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

კარი მეოთხე
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები

მუხლი 50. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, მმართველობის და ადგილობრივი დაქვემდებარების სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯებისა და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

მუხლი 51. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებთან სავალუტო ოპერაციების უზრუნველსაყოფად იქმნება სავალუტო ფონდები, რომელთა შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი და შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა.

აღნიშნული ფონდების სახსრები გამოიყენება შესაბამისი ბიუჯეტებით გათვალისწინებულ მიზნობრივ და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

მუხლი 52. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალში ჩაირიცხება:

— ბუნებრივი რესურსების გადასახადი;

— აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის გადასახადი;

— სახელმწიფო ბაჟი;

— საკურორტო გადასახადი;

— ტყის გადასახადი;

— სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი;

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებული და გამოშვებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— წყლის გადასახადი;

— სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

— საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადანაწილების ფონდიდან მიღებული სახსრები.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი;

ბ) შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების, — საკუთრების ფორმის მიუხედავად — მოგებიდან გადასახადი;

გ) შესაბამის ტერიტორიაზე მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადი;

დ) მიწის გადასახადი.

მუხლი 53. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალი გამოიყენება:

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დაქვემდებარების განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მომსახურების სხვა სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების, ღონისძიებების, მიზნობრივი ინვესტიციების, სუბსიდიების, აგრეთვე გარემოს დაცვის და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად;

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შესანახად;

— საბიუჯეტო სესხის გამოსაყოფად;

— აღებული სესხების დასაფარავად და მათი მომსახურებისათვის;

— იმ სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან დაფინანსებას.

მუხლი 54. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემადგენლობაში იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი.

მუხლი 55. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქალაქო, ქალაქის რაიონის, რაიონული და სხვა ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მმართველობის შესაბამისი ორგანოები მათთვის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების ფარგლებში.

მუხლი 56. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულება ხდება შესაბამისი საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის დამტკიცებული ბიუჯეტების შესაბამისად შედგენილი განწერის მიხედვით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის მდივანი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

ინსტრუქცია

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გაცემის, მიღების, აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების შესახებ

I. ზოგადი დებულებები

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი კანონიერი საგადასახადო საშუალების სახით გამოშვებულია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონები 5, 10, 50. 100, 500, 5000 და 10.000 ნომინალებით, რომლებიც მიმოიქცევა მოქმედი მანეთის პარალელურად.

თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვრა 1:1.

გამოშვებულ კუპონს შეუზღუდავად მიიღებენ საწარმოები და ორგანიზაციები (საკუთრების ფორმის მიუხედავად) და ცალკეული პირები საქონლისა და ყველა სახის მომსახურებისათვის ანგარიშსწორებისას, აგრეთვე საბანკო დაწესებულებები და კავშირგაბმულობის საწარმოები — ანგარიშებზე და ანაბრებზე ჩასარიცხად, რესპუბლიკის ფარგლებში გზავნილებებისათვის.

საბანკო დაწესებულებებში კუპონებით შემოსული ამონაგები ორგანიზაციების ანგარიშებზე ჩაირიცხება ერთიან ფულად ერთეულში (მანეთებში) დადგენილი თანაფარდობით 1:1.

კუპონებით შეტანილ ანაბრებს წლიური პროცენტები დაერიცხება იმავე წესით, როგორც სამანეთო ანაბრებს. საკუპონე და სამანეთო ანაბრები არ განიყოფიან.

ყალბი კუპონების დამზადება, ყალბი ფულის ნიშნების დამზადების ანალოგიურად ისჯება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით.

ბანკების, საწარმოებისა და დაწესებულებების ბალანსებში კუპონები აღირიცხება დადგენილი სამანეთო ექვივალენტით.

საკრედიტო დაბანდება და რესურსები როგორც ბანკის, ისე სამეურნეო ორგანიზაციის ბალანსებში აღირიცხება მანეთებში.

ძალაში რჩება ეკონომიკაში ამჟამად მოქმედი უნაღდო ანგარიშსწორების წესი.

უნაღდო ანგარიშსწორება საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის (საკუთრების ფორმის მიუხედავად), აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შორის ხორციელდება მანეთებში.

II. კუპონების გაცემა, მიღება, აღრიცხვა და შენახვა

რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებიდან კუპონები მიეცემათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ხელფასების, პენსია-დახმარებების, სტიპენდიების, დამზადების ანაზღაურების, მოსახლეობის ანაბრებიდან და ყველა სხვა მიზნებისათვის გასაცემად, რომელიც ექვემდებარება ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას.

ბანკის სალაროდან გაცემები, როგორც წესი, ხორციელდება კუპონებით. ფულადი შემოსავლები მანეთებში მთლიანად წარიმართება რეზერვის შესაქმნელად საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებთან ურთიერთობის განხორციელების მიზნით.

საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება ეძლევა რეზერვიდან მანეთებში ფულის ნიშნები გასცეს მხოლოდ რესპუბლიკის გარეთ მივლინებაზე საწარმოებისა და ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე წარდგენილი დასაბუთებული ხარჯების ფარგლებში, შემდგომში გადამოწმების პირობით.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში მანეთებში ფულის ნიშნების გაცემა მოხდება მხოლოდ ეროვნული ბანკის ნებართვით.

მოსახლეობისთვის კრედიტებისა და სახდაზღვევის მიერ თანხების გაცემა ხორციელდება კუპონებით.

საწარმოები და ორგანიზაციები (საკუთრების ფორმის მიუხედავად) კუპონებს აღრიცხავენ ცალკე სპეციალურად გახსნილ სალაროს წიგნში თანახმად მოქმედი წესებისა.

(დასასრული მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებას მიწაზე დაადგმევინა ფეხი

აკადემიკოს პეტრე ჟლენტის

დაბადების 90 წლისთავის გამო



არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობა წარუშლელ კვალს ტოვებს ერის ცხოვრებაში და მისი ნაღვაწი საშვილიშვილო საგზლად უძღვის მომავალ თაობებს. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ამაგდარი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და დიდი მამულიშვილი პეტრე ჟლენტი, რომლის დაბადებიდან ცხრა ათეულ წელს მადლიერების გრძნობით აღნიშნავს საქართველოს სამეცნიერო და განსაკუთრებით აგრარული საზოგადოება. ბატონი პეტრე ჟლენტი 65 წლის მანძილზე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მძიმე ჭაპანს და პირნათლად იხდის ვალს ერის სამსახურში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პეტრე ჟლენტი მიეკუთვნება იმ სახელოვან მეცნიერთა კოჰორტას, რომელთაც დაარწიეს აგროეკონომიკური მეცნიერების აკვანი საქართველოში, საფუძველი ჩაუყარეს აღნიშნული მეცნიერების განვითარებას თეორიული დებულებების სიღრმისეული დამუშავებითა და პრაქტიკული განხორციელებით. შეიქმნა აგროეკონომისტთა ძლიერი სკოლა, რომელმაც სახელი გაითქვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ბატონი პეტრე განსაკუთრებულ ადგილს იმსახურებს საქართველოს აგროეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელთა შორის — გიორგი გეხტმანთან, ივანე ჯაშთან, ნიკოლოზ იაშვილთან და ნიკოლოზ ლაჭყეპიანთან ერთად.

თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების გადასახედიდან ხელისგულივით მოჩანს განვლილი გზა. დაიბადა 1903 წლის 4 აპრილს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში, პედაგოგის ოჯახში. მამით ადრე დაობლდა და აღზრდის მთელი სიმძიმე დედას, ქალბატონ ანეტა მგალობლიშვილს, განათლებულ და ხელგამრჯე ადამიანს, დაეკისრა. ამ იშვიათი ენერგიისა და სათნო ქალს ბევრ რამეში არ გაუღიმა ბედმა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია — მისი სულის ძვირფასი თვისებები ცოცხლობს მის შვილში.

ბატონი პეტრე ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. ისინი გამოირჩევიან პრობლემათა მრავალფეროვნებითა და აქტუალობით, თეორიული განზოგადოებებითა და პრაქტიკული დასკვნებით. განუზომელია მეცნიერის ღვაწლი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების, სპეციალიზაციის, დარგთა სწორი შეთანაწყობისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დამუშავებაში, მათ მომზადებასა და პირველად 1960 წელს 3 ტომად (ქართულ და რუსულ ენებზე) გამოცემაში. ამ ფუნდამენტალურმა შრომამ 5 გამოცემას გაუძლო.

უბრალოება და სისადავე მუდამ თან ახლავს ბატონ პეტრეს მოღვაწეობას. მან პირველმა მოგვცა სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონის ყველაზე მარტივი და ადვილად გასაგები განმარტება, რომ ზონა არის გარკვეული ადმინისტრაციული რაიონების ჯგუფი, რომლებშიც რაიონები გაერთიანებულია მათი განმასხვავებელი უმთავრესი ნიშნების მსგავსების მიხედვით: ბუნებრივ-სამეურნეო (ძირითადად ნიადაგურ-კლიმატური პირობები), ეკონომიკური (მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა), დამკვიდრებული (ადრე ჩამოყალიბებული და მაღალ დონეზე შენარჩუნებული საწარმოო ტრადიციები) და ბოლოს, შემდგომი განვითარების რეალური პროგნოზები. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად პირველად საქართველოში გამოიყო სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა 11 ქვეზონით.

პეტრე ჟლენტი საოცრად ჰარმონიული პიროვნებაა. იგი შესანიშნავად უხამებს თეორიულ კვლევას პრაქტიკულ მოღვაწეობას — მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას. მას, როგორც აგროეკონომიკური მეცნიერების მესაჭეს, შესანიშნავად ახსოვს ჩვენი სოფლის წარსული, საფუძვლიანად აანალიზებს მის დღევანდელობას და თვალხილული ხედავს ხვალინდელ დღეს. ათეული წლების მანძილზე პრაქტიკულად მონაწილეობდა მრავალი აგრარული საკითხის შესწავლასა და გადაწყვეტაში. მან პირველმა დაასაბუთა თბილისისა და რუსთავის გარშემო მებოსტნეობა-მერძეობის სპეციალიზებული მეურნეობების შექმნის აუცილებლობა, დაამუშავა სამგორისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეკონომიკური ნაწილი.

ბატონმა პეტრემ გადამწყვეტი როლი შეასრულა კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების დღეს მოქმედი პროექტის შედგენაში, ზემდგომ ორგანოებში განხილვასა და დამტკიცებაში. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ აგრარიკოს მეცნიერთა შორის მან პირველმა აღიმაღლა ხმა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ბატონობის წლებში მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის სათოხნი თესლბრუნვებით შეცვლის წინააღმდეგ და მრავალგზის დაასაბუთა მინდვრის თესლბრუნვების დიდი უპირატესობა და მათი დანერგვის აუცილებლობა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ აგროეკონომისტს, მეცნიერს არ გაუწევია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის ისეთი პრაქტიკული დახმარება, როგორიც მიუძღვის ბატონ პეტრე ჟლენტს. მეცნიერებას მიწაზე დაადგმევინა ფეხი და ღრმა ფესვებით ჩაზარდა. მიწის დიდ ამაგდარს ბევრჯერ უთქვამს — გავუფრთხილდეთ მიწას, ჩვენს უმდიდრეს განძს და საშვილიშვილო სიმდიდრეს, ერის დამაწყნარებელსა და დამამშვენებელსო.

ბატონი პეტრე განუმეორებელი პედაგოგი და აღმზრდელია. 1931 წელს წაკითხული პირველი ლექციიდან მთელი 56 წლის მანძილზე არ შეუწყვეტია ეს საყვარელი და საპატიო საქმიანობა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებში მუდმივად უძღვებოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის კურსს. საქართველოში არ მოიძებნება ისეთი კუთხე, სადაც ბატონ პეტრეს აღზრდილები არ მოღვაწეობდნენ და მადლიერების გრძნობით არ იყვნენ გამსჭვალულნი ხელოვანი მეცნიერის მიმართ.

ერისკაცობა მძიმე ტვირთია ჩვენს საზოგადოებაში. ახლა ბატონი პეტრეს მოწაფეებსა და მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს ისღა დაგვრჩენია, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ამ უნიკალურ პიროვნებას, აგრარული მეცნიერების პერმუხას და ერის მოჭირნახულეს, რათა დიდხანს იცოცხლოს და კვლავაც შეინარჩუნოს შემოქმედი მეცნიერის კეთილი თვისებები.

ვალერიან მეტრეველი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
რობერტ ანდღულაძე,
ვიცე-პრეზიდენტი,
ნაპოლეონ ქარქაშაძე,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის საპატიო აკადემიკოსს

პეტრე ჟლენტს

დიდად პატივცემულო ბატონო პეტრე!

გილოცავთ დაბადების 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლისთავს. თქვენ გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით, რომელმაც ხანგრძლივი და უმწიკვლო მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვეთ ქართული აგრარული და განსაკუთრებით აგროეკონომიკური მეცნიერების ფორმირებაში, ეროვნული კადრების აღზრდისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. დღევანდელი ძნელბედობის ჟამს საქართველოს კვლავაც სჭირდება თქვენი ხალასი აზრი და მამულის გაუნელებელი სიყვარული. თქვენი დაბადების საუკუნოვანი იუბილე გვეზეიმოს ბედნიერ და აყვავებულ საქართველოში.

პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე

შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში

1 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავის რეზიდენციაში მიიღო რომის პაპის პავლე იოანე მეორის საგანგებო წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში, არქიეპისკოპოსი ფრანჩესკო კოლასუონო და საქართველოში ვატიკანის დროებითი რწმუნებული ბატონი ჟან პოლ გობელი.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გულითადი მადლობა მოახსენა მათ სტუმრობისათვის და აღნიშნა, რომ დიდად აფასებს საქართველოს მართლმადიდებლურ და რომის კათოლიკურ ეკლესიებს შორის მეგობრულ ურთიერთობას და თანამშრომლობას. ჩვენი ეკლესიები, თქვა მან, ძმები არიან და ეს ძმობა კიდევ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება. კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს მოკლედ გააცნო საქართველოში მიმდინარე მოვლენები. ჩვენი რესპუბლიკა დემოკრატიის მძიმე გზას დაადგა და ამ გზაზე მას საკმაოდ ბევრი და რთული პრობლემა აქვს გადასალახავი. მაგრამ მჯერა, რომ საბოლოოდ საქართველო დააღწევს თავს ამ სირთულეებს და ამაში თავის წვლილს შეიტანს ეკლესია.

მისმა უგანათლებულესობამ ფრანჩესკო კოლასუონომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მისი მესამე ვიზიტია საქართველოში. რომში, ხაზი გაუსვა მან, კარგად იციან ქართველი ხალხის სულისკვეთება — სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ და სურთ, რომ მალე შეესხას ხორცი ამ სწრაფვას.

დღეს კი ისინი განსაკუთრებული დავალებით ჩამოვიდნენ — საქართველოში იხსნება ვატიკანის წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ბატონი ჟან პოლ გობელი, ის იქნება წმიდა წარმომადგენელი ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში.

ბატონ გობელს დიდი გამოცდილება აქვს, იგი, როგორც ვატიკანის წარმომადგენელი, წარგზავნილი იყო ავსტრალიაში, აფრიკაში, ნიკარაგუაში, ჰონკონგსა და სხვა ქვეყნებში. მისი საქართველოში ჩამობრძანება მოწმობს რომის პაპის დამოკიდებულებას ჩვენს რესპუბლიკასთან და მის ხალხთან, მის განსაკუთრებულ პატივისცემას ქართველი ერისადმი. ბატონი გობელი გამოთქვამს რწმენას, რომ ძმური და მეგობრული დამოკიდებულება ორი ქვეყნის ხალხებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ იმედი გამოთქვა, რომ გობელი აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოსთან და დალოცა ორი ეკლესიის, ორი ქვეყნის ხალხთა ძმური და მეგობრული ურთიერთობა.

ბატონმა ჟან პოლ გობელმა მადლობა გადაუხადა გულთბილი სურვილებისათვის, დალოცა საქართველო, უსურვა მას ნანატრი მშვიდობა.

ნანა გელაშვილი.

საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო რუსეთის ფედერაციაში რომის პაპის პავლე იოანე მეორის საგანგებო წარმომადგენელი, არქიეპისკოპოსი ფრანჩესკო კოლასუონო და ბატონი ჟან პოლ გობელი, რომელიც დანიშნულია საქართველოში ვატიკანის საქმეთა დროებით რწმუნებულად.

ბატონმა ჟან პოლ გობელმა ალექსანდრე ჩიკვაიძეს გადასცა ვატიკანის სახელმწიფო მდივნის სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც დადასტურებულია მისი სტატუსი რესპუბლიკაში.

არქიეპისკოპოსმა ფრანჩესკო კოლასუონომ თქვა, რომ ვატიკანი მორალურ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს რესპუბლიკას და ერთგულობს მის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპს.

ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ისახება კონტაქტები ვატიკანსა და საქართველოს შორის. მან ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ვატიკანთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას.

მხარეებმა განიხილეს მომავალი ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. სტუმრებმა განაცხადეს, რომ ვატიკანი აპირებს თავისი გავლენა და შესაძლებლობანი გამოიყენოს საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებისა და სხვადასხვა სფეროში რეალური დახმარების გაწევისათვის.

სარედაქციო ფოსტიდან

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

ჩვენი გაზეთის პუბლიკაციამ „**პრეზიდენტი კომშარული ოპერეტიდან, ანუ სატანას აგენტი საქართველოში**“ (20-27 III. 1998 წ.), რომლის ავტორია ცნობილი მწერალი **კიტა ბუაჩიძე**, მკითხველებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია... იგი მეტად აქტუალურ, მწვავე თემას ეხება და ამიტომაც მკითხველები თავიანთი მოსაზრებებით ეხმაურებიან გაზეთის პუბლიკაციას. ცხადია, რედაქციაც უყურადღებოდ ვერ დატოვებს მკითხველთა მოსაზრებებს და ამჯერად წერილების ნაწილს აქვეყნებს გაზეთის ფურცლებზე.

* * *

მართლაც რას არ გაიგონებ დღეს, რას არ ნახავ და მოისმენ, მაგრამ ის, რაც 20 მარტის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წავიკითხე (ბატონ კიტა ბუაჩიძის წერილი — „პრეზიდენტი კომშარული ოპერეტიდან“ მაქვს მხედველობაში), მე, პროფესიით მსახიობი და არც ისე გულუბრყვილო კაცი, აშკარად გაკვირვებული დავრჩი.

ბატონ კიტას „არცთუ მოძველებულ არქივს“, რომელსაც გაზეთის ფურცლებზე გვაცნობთ, პირუთვნელი შემფასებელი გამოუჩნდება, სადაც უპირველად ითქმება, რომ ზემოხსენებული „ოპუსით“ ერში გაჩენილ ბზარს კი არ ავსებს და მკურნავს, როგორც ეს მწერლის და, საერთოდ, ყველა გონიერი კაცის მოვალეობაა, არამედ უფრო აღრმავებს მას და პასუხიც ალბათ მკაცრად მოეთხოვება: ღმერთმანი, ეს ასე იქნება. არ შეიძლება, რაც პირზე მოგადგება, ყველაფერი თქვა, ანუ, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ნათქვამს ჭკუა და გონება არ მიაყოლო...

საზოგადო საზოგადოდ და მე, ბატონო კიტა, ჩემი გულისტკივილიც მალაპარაკებს. ის ლვარძლი და ჭორი, რაც ჩემს მიმართ გადმოანთხიეთ, მართლაც მოულოდნელი იყო და გავვოცდი.

რატომ გავვოცდი? დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. თქვენს ერთ პიესაშიც მითამაშნია, არც თუ ურიგოდ, ერთი დამიდგამს კიდეც. თქვენი ნაჩუქარი ორი წიგნი მაქვს სახლში ღრმა პატივისცემით მოძღვნილი.

მაინც რაში მდებთ ბრალს? მსახიობ ნუგზარ შარიას ხოლო კონცერტის წამყვანი რომ ვიყავი? ჯერ ერთი, ნუგზარ შარია, ჩემი ბავშვობის მეგობარია, რუსთაველის თეატრშიც ერთად ვმუშაობდით, და როცა კონცერტის გაძღოლა შემომთავაზა, უარის თქმის უფლება მორალურადაც არ მქონდა. მეორე: იმაში მაინც დამეთანხმებით, რომ მე არ მიძღვნია კონცერტი პრეზიდენტისათვის, არც მისი დამდგმელი ვყოფილვარ, ამის პრეროგატივა თავად კონცერტანტს ჰქონდა... მესამე: მე, მოგეხსენებათ, მსახიობი კაცი ვარ, არაერთი უარყოფითი როლი მაქვს ნათამაშევი, თქვენ წარმოიდგინეთ, თქვენგან მოძულებული სტალინის, კაცობრიობის დაწყევლილ-დამღუპველი ლენინის, კაციჭამია ჰიტლერის და დღეს რომ „მეგრული წარმოშობის“ ბერიას როლი შემომთავაზონ, არც ამაზე ვიტყვი უარს... რა ვქნა, მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ჩემი პროფესია ეს არის. მეოთხე და მთავარი: როგორც არაერთი ხელოვანი საქართველოში, მეც ყოფილი პრეზიდენტის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გავხდი. ჩვენი კონფლიქტი ზუსტად ათ წელიწადს ითვლის, რაც, ვფიქრობ, ქართული საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი. არახალია ისიც, რომ სწორედ პრეზიდენტის მომხრეებმა ამოჭედეს ცირკის დირექტორის კარები, აქაოდა იმ საბაბით — ბორის წიფურიას ქართული ეროვნული ცირკი არ უნდაო. სხვათა შორის, მაშინ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: მოსკოვის საკავშირო ცირკების გაერთიანებას თუ გამოვეყოფი, უპროგრამოდ დავრჩებით-მეთქი. არადა, ისე აგიხდეთ ყველაფერი. აბა დაინტერესდით, ვინ ჩამოვიდა ან რა პროგრამებითაა დღეს ჩვენი ცირკი დაკავებული?! რაც შეეხება თქვენს ბინძურ ბრალდებას ლომისა და თუთიყუშის ულუფის შესახებ, აქ, მირჩევნია, ისევ საზოგადოებრიობამ გაგცეთ პასუხი. ვფიქრობ, იმდენი გონი და ძალა შესწევთ, მტყუან-მართალი გაარკვიონ. სანუხარო ის არის: ნორმალურ საზოგადოებაში ნორმალური ადამიანები ასე უმიზეზოდ არ ილანძღებიან, არ უწამლავენ ადამიანს ცხოვრებას და, თუ უწამლავენ, პასუხსაც მხოლოდ დანაშაულისამებრ აგებენ...

სხვათა შორის, მინდა შეგახსენოთ, რომ მე საქართველოს სახალხო არტისტი ვარ. ვიყავი ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, საკავშირო ცირკების გაერთიანების კოლეგიისა პრეზიდიუმის წევრიც და არა შპრეხშტალმაისტერი (ცირკის პროგრამის წამყვანი), როგორც თქვენ მიწოდებთ, ბატონო კიტა!

ეს, ჩემი თავი ჯანდაბას, მე უფრო თქვენი ოპუს-მონოლოგი მაფიქრებს. დიახ, დღეს, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ომშია საქართველო რუსეთთან ჩართული, როცა წინა თუ დღევანდელი ხელისუფლების წყალობით არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა ძლივს იკრავს ერის ჭრილობა პირს, როცა სწორედ დღეს ყველასთვის სანუკვარ ოცნებად არის გადაქცეული შერიგება, შეკავშირება, პატიება და მხარში ამოდგომა, წარსული კოშმარების დავიწყება, რაშიც ჩემი მცირედი წვლილიც შემაქვს, თქვენ, თითქოს შეგნებულად, იმდენ სიძულვილს ანთხევთ საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის — სამეგრელოს მიმართ, რომ მსგავს საქციელს, მავნებლობის მეტი არაფერი მოაქვს. თქვენს წინა წერილებშიც ჩანს ეს, ჩანს აშკარად, დაუფარავად. მთელი სამეგრელო, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელებიც კი ლამის ერის მოღალატედ შერაცხოთ... არადა, რამ დაგიბნელათ გონება, ბატონო კიტა! ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ცდება, როცა იმავე გაზეთის მე-8 გვერდზე ბრძანებს: სამშობლოსა და ერის წინაშე უმწიკვლო მხედრული სამსახურისა და მამულიშვილური ღვაწლისათვის მადლობა გამოეცხადოს — 52 მებრძოლს, რომელშიც 38 (აბა თქვენი არ იყოს, გვარებს დააკვირდით) წარმოშობით მეგრელია.

რა უნდა ვიფიქროთ? ალბათ ის, სიძულვილმა სიბრმავე რომ იცის, სხვა რა გითხრათ, ბატონო კიტა, როცა საკუთარ თავს თავად იჭერით! ისე კი გირჩევთ თავშეკავებას, თორემ თქვენ თანდათან, სამწუხაროდ, თქვენი პიესის გმირს — ლაითაძეს ემსგავსებით. მკითხველს კი შევახსენებ ამ პიესის სათაურს „ეზოში ავი ძაღლია“. მორგებული სათაურია.

პატივისცემით

ბორის წიფურია.

* * *

ბატონო რედაქტორო, დიდი ყურადღებით წავიკითხე მწერალ კიტა ბუაჩიძის ამასწინანდელი სტატია ექსპრეზიდენტზე და მიხარია, რომ ისეთი ძველი პოლიტპატიმარი, როგორიც ბატონი კიტა ბუაჩიძეა, კვლავ შემართებით იბრძვის სიმართლის დასაცავად. როგორ არა ჰგავს იგი საეჭვო წარსულის მქონე ერთ პიროვნებას, ექსპრეზიდენტის დამცველ ვითომც „უხუცეს დისიდენტს“, რომლის ტყუილ-მართალი წავიკითხე ახლახან ერთ-ერთ გაზეთში.

„საქართველოს სამრეკლოში“ კი ვიხილე კენჭოშვილის მიერ შეთხზული ჩვენი ხელისუფლების სალანძღავი სტატია და თუმცა ამ გაზეთიდან უკვე არაფერი მიკვირს, მაინც გავვოცდი. არა, ის კი არ გამკვირვებია, რომ ი. კენჭოშვილი გამსახურდიამ თავის დროზე „საქინფორმის“ დირექტორად დანიშნა და ახლა, პოსტის დაკარგვის გამო გამწარებული, შხამს ანთხევს. ასეთი „პოსტდაკარგულები“ აღნიშნული გაზეთის რედკოლეგიაში უხვად არიან მოკალათებულნი. მაგრამ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ი. კენჭოშვილთან დაკავშირებით მინდა შევახსენო ერთი ფაქტი, რაც ყველამ კარგად უწყის. თავის დროზე იგი გახლდათ წევრი ჩვენში ძალზე გახმაურებული „ჰელსინკის ჯგუფისა“. როგორც კი იმდროინდელი კომუნისტური პრესა თავს დაესხა ამ ჯგუფს, ი. კენჭოშვილმა ყველას და ყველაფერს დაასწრო და „ცეკაში“ თავი ამდაგვარად იმართლა: „მე ჩემს ძმას ვიცავდი (რომელიც იმჟამად გაფლანგვის გამო „იჯდა“) და დანარჩენი ამ ჯგუფთან არაფერი მესაქმებაო“. ამ ღალატის წყალობით ი. კენჭოშვილი ერთი საათიც არ დაუკავებიათ დამსჯელ ორგანოებს. მაგრამ შემდეგ ბატონმა ექსპრეზიდენტმა იგი გულში ჩაიხუტა. როგორც იტყვიან, „მსგავსი მსგავსს ეძებს“. ასეთი არის „სამრეკლოს“ ზნეობრივი სახე.

ოლეგ სიხარულიძე

* * *

ძვირფასო რედაქციავ! დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ მწერალ კიტა ბუაჩიძის სტატიის დაბეჭდვისათვის, რომელმაც კიდევ ერთხელ დამაჯერებლად აუწყა მკითხველს, თუ ვინ ვინ არის.

ჩემთვის ცნობილია და მკითხველმაც მინდა იცოდეს, რომ ბატონი კიტა სტალინის დროს რეპრესირებული გახლდათ, მან თითქმის ათი წელი გაატარა ციხე-კოლონიებში და ვის, თუ არა მას, სრული მორალური უფლება აქვს, როგორც უხუცეს (თუ არ ვცდები, 80 წელს გადაცილებული უნდა იყოს) პოლიტპატიმარს, თავისი მართალი სიტყვა აუწყოს საზოგადოებას.

პატივისცემით

ვახტანგ ჩიჩუა.

* * *

ბატონო კიტა! მე თქვენ არ გიცნობთ, მეტნაკლებად ვიცნობ მხოლოდ თქვენს მწერლურ შემოქმედებასა და განვლილ ცხოვრების ნარეკლიან გზას... 20 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ თქვენმა ვრცელმა პუბლიცისტურმა წერილმა — „პრეზიდენტი კომშარული ოპერეტიდან, ანუ სატანის აგენტი საქართველოში“ — ჩვეულებრივ, ინტერესი გამოიწვია. რა თქმა უნდა, ყველას, მით უფრო მწერალს, ამა თუ იმ მოვლენისადმი, პიროვნებისადმი თავისი შეხედულება — აზრი, პოზიცია აქვს...

სხვათა და სხვათა შორის, ჩემი ყურადღება მიიპყრო წერილის იმ ადგილმა, სადაც აღნიშნავთ: „ო, აქამდე ბევრჯერ გამეგონა „დიდი მწერალიო“, „დიდი მეცნიერიო“, „დიდი მსახიობიო“, მაგრამ ასეთი გამოთქმა-ტიტული „დიდი რუსთველოლოგი...“ არა, ეს ბატონ ალექსანდრეს (ბარამიძეს) ბაგეთაგან არც მსმენია, ასეთი სიტყვიერი სიგელი „დიდ რუსთველოლოგს“ შარშან შოთაობაზე იყალთოს აკადემიის მესვეურმა უბოძა აქ დამსწრე პრეზიდენტ გამსახურდიას!“.

ჰოი, საოცრებავ, საიდან სადაო?!

აღნიშნულმა სწორედ რომ გამაკვირვა და გამაოცა. ძველი აკადემიის ნაფუძარზე, თითქოს მესმის სულმნათი წინაპრის ხმა იდუმალი: „არ სასმენლისა მოსმენა რომ ხჭმუნვიდე, რა გერგების“; „კაცსა მიმხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“; „უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“; „კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მომკვეხ ვითა მთვრალი“; „მაგრამ მეტი უარეა არა თქმა და ჭირთა მალვა“.

დიახ, 1991 წლის მორიგ „შოთაობაზე“ მართლაც ჩამოვიდა გამსახურდია იყალთოში. რაო, არ მოგვეშვა მაშინდელი რესპუბლიკის პრეზიდენტი, რუსთველოლოგი... გამოგვეპანღურებინა? მისი ჩამოსვლა ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ, რამეთუ „შოთაობაზე“ ყველასათვის კარი ღიაა ტრადიციულად, ხომ მასში მონაწილეობას იღებენ ჩინოსნებიცა და უჩინონიც, გამოჩენილი და გამოუჩენელი პიროვნებები, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურისა და სპორტის, მეცნიერების მოღვაწენი. იყალთოში „შოთაობა“ იმართება ყოველი წლის შემოდგომაზე და იგი არის ჭირნახულის ალებისა და მშრომელი გლეხკაცის მარჯვენის დაფასების, პოეზიის, მეგობრობისა და სიყვარულის, სახელოვან წინაპართა გახსენების, შესანიშნავი ქართული ტრადიციების აღდგენა-განვითარების, პატრიოტული აღტკინების, სულიერი ამაღლების, ჩვენი ერთად დგომის, აღიარებული სახალხო დღესასწაული. აგერ, უკვე სამი ათეული წელია ოქტომბერში აღინიშნება შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტისა და „შოთაობის“ 30 წლისთავი. მოვდივარ ასე, ჩემს იყალთოელებთან ერთად და მეამაყება. არ მავიწყდება იყალთოს საპატიო მოქალაქის, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ჩემდამი გამოგზავნილი ბარათიდან „პრეზიდენტები ჩამოდიან და მიდიან, პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, „შოთაობა“ კი მარადიულია“...

დასწრებიხართ ოდესმე იყალთოში „შოთაობას“, — რაა და როგორ ტარდება, იცით მისი შინაარსი, ბატონო კიტა? — არა მგონია. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ არც ასე გაგვიმეტებდით.

ვაი, რა ცუდად გიცნივართ!

რამ ამაღელვა? — აღელდები, აღშფოთდები, როცა ბაგეთაგან არა თქმულა, არც გამოცრილა, ძილშიც არ დამსიზმრებია, „დიდი რუსთველოლოგი“... მეხსიერებას არ ვუჩივი და კარგად მახსოვს იმ „შოთაობის“ ყოველი დეტალიც. ეგ არა და, ვისთანაც ასე ახლოს ვყოფილვარ, ცნობილ მოამაგე რუსთველოლოგებთან — შალვა ნუცუბიძესთან, აკაკი შანიძესთან, გიორგი წერეთელთან, ალექსანდრე ბარამიძეთან, გაიოზ იმედაშვილთან თუ სხვებთან — მათზეც კი არ დამცდენია „დიდი რუსთველოლოგი!“. აქვე, იქნებ ღირდეს იმის შეხსენებაც, რომ ამ მხრივ — ქათინაურებისა და დითირამბებისაგან კახეთი საერთოდ შორსაა, არც დაგვჭირვებია, „ჩვენში იგი არ მოდის“.

მაშ, თქვენ რაში დაგჭირდათ ყოველივე ეს, ბატონო კიტა, განა სხვა ფაქტები არ იყო საკმარისი „სატანას“ სახისმეტყველებაში?

ვიმეორებ, თქვენ მაშინდელ „შოთაობაზე“ არ ბრძანებულხართ! ვინ იჭორიკნა, ვინ „ჩამოგაწოდა“, სად მოისმინეთ, ვინ დამასმინა, ვინ შთაგაგონათ ეს ჩხრეკვა-ჩახაფრება თქვენ, „შავი წიგნის“ ავტორს. გამოცდილ და მრავალჭირმნახველს, ასე საქვეყნო განაცხადი არაფრისა და არაფრის გამო. თავად მოწმე და ცოცხალი მატიანე ხართ, ასეთ „ჩაშვებებს“ რაოდენი ზიანი მიუყენებია არაერთხელ საქართველოსათვის, ჩვენი ერისათვის. გვჭირდება კი იგი დღესაც? ამ დაძაბულ, რთულ, აფორიაქებულ ჟამს, ხომ თვითოეული ჩვენთაგანის თავისებური გამოცდაცაა!

და დასასრულს, კვლავ, ჩვენი საერთო სალოცავი, დიდი რუსთაველი მინდა წავიმძღვარო:

„მაგრა თქმულა: „კარგის მქმნელი
კაცი ბოლოდ არ წახდების“.

პატივისცემით,

გიორგი შათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.
თელავი.

ინსტრუქცია

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გაცემის, მიღების, აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესების შესახებ

(დასასრული)

სალაროს დავთრის სწორად წარმოების კონტროლი ევალება საწარმოს და ორგანიზაციის მთავარ ბუხჰალტერს.

სალაროში არსებული კუპონების თანხა ჩაითვლება საბანკო დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სალაროს ნაშთის ლიმიტში.

საცალო სავაჭრო, საზკვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მუდმივი შემოსავლების მქონე სხვა ორგანიზაციები (საკუთრების ფორმის მიუხედავად) შემოსული ფულის ნიშნებს მანეთებში მთლიანად აბარებენ საბანკო და კავშირგაბმულობის დაწესებულებებს. ამონაგებიდან ხელფასების, პენსიებისათვის და სხვა დანიშნულებით ნებადართული გაცემები წარმოებს მხოლოდ კუპონებში.

საბანკო დაწესებულებები ახორციელებენ სალაროს დისციპლინის დაცვის შემდგომ კონტროლს არსებული წესისამებრ.

სამი სამუშაო დღის განმავლობაში გაუცემელი კუპონები დეპონირდება და ბანკში უნდა ჩაბარდეს.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში (საკუთრების ფორმის მიუხედავად) კუპონების შენახვისა და გაცემისათვის პასუხისმგებელია მოლარე, რომელიც ახორციელებს ნაღდი ფულის ოპერაციებს. მიღებული კუპონები ინახება სეიფებში მანეთებთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში — ლითონის კარადებში, რომლებიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქება.

საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი ადგენს სალაროს მოულოდნელი რევიზიის ჩატარების ვადებს (არანაკლებ კვარტალში ერთჯერ), შესაბამისი ბრძანებით ნიშნავს სარევიზიო კომისიის შემადგენლობას, რომელიც კუპონებს ფურცლობრივად გადაითვლის. რევიზიის შედეგების შესახებ შეადგენენ აქტს. კუპონების დანაკლისისას დამნაშავე პირი დადგენილი წესისამებრ მიეცემა პასუხისგებაში ისევე, როგორც მანეთების დანაკლისის შემთხვევაში.

ზემდგომი და მაკონტროლებელი ორგანოები. როგორც წესი, ყველა დაქვემდებარებულ საწარმოსა და ორგანიზაციაში დოკუმენტური რევიზიის ჩატარებისას ფურცლობრივად სრულად გადათვლის სალაროში არსებულ კუპონებს.

ორგანიზაციის სალაროდან გაცემის შესახებ შეადგენენ ორ უწყისს — სამანეთოს და საკუპონეს. სამანეთო უწყისში აისახება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მივლინებისათვის ან სხვა ნებადართულ შემთხვევაში მანეთის ყოველგვარი გაცემები.

კუპონები მანეთის თანაბრად შეუფერხებლად მიიღება და ჩაირიცხება საწარმოების და ორგანიზაციების შესაბამის ანგარიშებზე.

საწარმოების და ორგანიზაციების მიერ ინკასაციის მეშვეობით ჩაბარებულ ამონაგებს თან ახლავს დამტკიცებული ფორმის ერთიანი უწყისი (ჩადებული საინკასაციო ჩანთაში), რომლის უკანა მხარეზე სვეტში „ჩაბარებული ფულის კუპიურული აღწერილობა“ ჩაბარებული კუპონები კუპიურების მიხედვით ხელით ჩაიწერება ლითონის მონეტებისათვის განკუთვნილ ადგილზე.

ნაღდი ფულის ხელზე შეტანის შემთხვევაში ცალ-ცალკე მანეთებზე და კუპონებზე ორ ცალად შეივსება მოქმედი ფორმის განცხადება ნაღდი ფულის შეტანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს კუპონებით კომერციულ ბანკებს თანახმად მათი განცხადებისა საკორესპონდენტო ანგარიშებიდან სათანადო თანხის ჩამოწერის შემდეგ.

კუპონების მიმოქცევაში გამოშვებისთანავე საბანკო დაწესებულებები კუპონებსა და მანეთებს აღრიცხავენ ცალ-ცალკე. ამ მიზნით საბანკო დაწესებულებებში იხსნება მეორე დავთარი, ფორმა № 120 „საოპერაციო სალაროს აღრიცხვის დავთარი“, ხოლო ეროვნული ბანკის დაწესებულებაში — „მთავარი სალაროს აღრიცხვის დავთარი“ (ფორმა № 141).

ყველა საბანკო დაწესებულებას ევალება ყოველი თვის 1 რიცხვის მდგომარეობით ეროვნულ ბანკს დადგენილ ვადაში წარუდგინოს სალაროს ნაშთის კუპიურული წყობის უწყისი (ფ. № 0482142), რომელშიც დამატებით მე-9 ინდექსზე აღირიცხება სალაროში არსებული ვარგისი, ხოლო მე-10 ინდექსზე — მოძველებული კუპონები ცალკეული კუპიურების მიხედვით.

კუპონების მიმოქცევის ანალიზის მიზნით საბანკო დაწესებულებებში გაიხსნება კუპონების საკასო ბრუნვის აღრიცხვის ცალკე უწყისი (ფორმა № 744).

დადგენილი წესით № 744 ორივე ფორმის (კუპონების და მანეთების) საფუძველზე საბანკო დაწესებულებები ეროვნულ ბანკს წარუდგენენ № 747 ფორმას „ბანკის საკასო ბრუნვის ხუთდღიური ანგარიშგება“ და ფორმა „ბანკის საკასო ბრუნვის თვიური ანგარიშგება“.

ზემოთ აღნიშნული ანგარიშგებები (ფორმა № 747 და № 748) იგზავნება ორი სახით:

1. საკასო ბრუნვის ანგარიშგება მანეთების და კუპონების მთლიან თანხებში;
2. საკასო ბრუნვის ანგარიშგება მხოლოდ კუპონებში.

ფულის მიმოქცევის მდგომარეობის ანალიზისათვის საბანკო დაწესებულებები გამოიყენებენ ნაღდი ფულის ბრუნვის მთლიან თანხას (კუპონებსა და მანეთებში), მიმოქცევაში გამოშვებული კუპონები გაითვალისწინება ემისიის საერთო თანხაში.

საბანკო დაწესებულებათა სალაროში არსებული კუპონების თანხა ჩაითვლება სალაროს ნაშთის ლიმიტში.

მიმოქცევიდან ამოღებული კუპონების ფორმირება კონებად და ნეკნებად ხდება ამჟამად მანეთისათვის მოქმედი წესებით.

კუპონებზე გადასაცვლელად მანეთის ფულის ნიშნებს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებები მიიღებენ დადგენილი შეფარდებით 1:1.

სალაროს შემოსავალში კუპონების მიღებისას საბანკო დაწესებულებები აუცილებლად შეამოწმებენ კუპონების ნამდვილობას და ვარგისიანობას. ნამდვილობის დასადგენად სახელმძღვანელოდ მიიღება შემდეგი:

ა. ქაღალდისათვის დამახასიათებელი ნიშნები:
— მთლიანი ჭვირნიშანი (წყლის ნიშანი);
— ულტრაიისფერი სხივების გაუმტარობა;
— უხილავი ფლუორესცენტური მკედი.
ბ. ლითოგრაფიის ნიშნები:
— ანტიფოტოგრაფიული საღებავები;
— ანტიპირგადასაღები ხაზოვანი სტრუქტურები (ჭადრაკულა);
— ანტისკანერული ხაზოვანი სტრუქტურები (დალიანდაგებული);
— გამჭოლი რეგისტრი (ხილვადი);
— ხილვადი ფლუოროსცენტური ელემენტები (გილიოში);
— ტონირებული ფლუორესცენტური ლითონის ელემენტი;
— განუმეორებელი კომპიუტერული მოხატულობა.
გ. ასო-ნიშნის წნეხი:
— სერიის ფლუორესცენტური ნომერი — შავიდან მწვანე ფერისაკენ.

III. კუპონების გადასახდელად ვარგისიანობის ნიშან-თვისებები და განსაზღვრის წესები:

გადასახდელად ვარგისია კუპონები, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ მათ ნამდვილობაში.

ყველა საწარმო და ორგანიზაცია (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ვალდებულია დაუბრკოლებლად მიიღოს და საბანკო დაწესებულებებში ფულადი ამონაგების შემადგენლობაში ჩააბაროს კუპონები:

ა) რომლებსაც აქვთ ნახვრეტი, ჩანახევი, ნაცრეცი, ლაქა, წარწერები ფანქრით და მელნით;

ბ) რომლებიც გადახეული და დაწებებულია, თუ კუპონის ცალკეული ნაწილები უდავოდ ერთსა და იმავე კუპონს ეკუთვნის;

გ) რომლებზეც გადასხმულია საღებავი, რამაც შეცვალა პირვანდელი ფერი და რომლებიც შემომწვარი და გამომწვარია;

დ) რომლებსაც დაკარგული აქვთ სრული მოცულობა.

საბანკო დაწესებულებები ვალდებული არიან გადაახარისხონ და მოძველებულთა თანრიგში ჩარიცხონ პირველი პუნქტით ბ, გ, დ ლიტერებში ჩამოთვლილი დაზიანების მქონე კუპონები.

საბანკო დაწესებულებები ვალდებული არიან გაცვალონ გადასახდელად უვარგისი კუპონები, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ მათ ნამდვილობაში და შენარჩუნებული აქვთ სიტყვები „კუპონი“, „საქართველოს ეროვნული ბანკი“, „ღირებულების აღმნიშვნელი ციფრები, სერია, ნომერი და კუპონის ფართობის 50 პროცენტზე მეტი.

გადასახდელად უვარგისი კუპონები, რომლებმაც შეინარჩუნეს კუპონის ფართობის 50 პროცენტზე ნაკლები და ნომერი, გაიგზავნება ექსპერტიზასა და შემოწმებაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში გაცვლის შესაძლებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

ხამს სტუმარი სასურველი

ლომი

— ლომო!..

ეძახის იგი ნაცნობ-მეგობრებს სიკეთისა და სიყვარულის ნიშნად!..

— ლომო!..

ეძახიან მას ნაცნობ-მეგობრები, ანუ სიყვარულზე სიყვარულით უპასუხებენ.

ამ ერთი სიტყვით შუქი, სიწრფელე, სიხალისე... შეაქვს ზაურ ბოლქვაძეს ქართული მწერლობის კასტებად დაყოფილ დიდ ოჯახში, მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის — „ნიანგის" — ვერცერთ ნომერს ვერ გადაშლით, რომ შიგ ლექსად თქმული, კეთილი იუმორით გამთბარი სტრიქონები არ შეგხვდეთ ზაურ ბოლქვაძისა („ბათუ მელიასი").

ეძღვნება ეს სტრიქონები მეგობარ მწერლებს, ხელოვნების, კულტურის, სპორტის... გამოჩენილ მოღვაწეთ, ყველას, ვინც საქართველოს სასიკეთოდ ოდნავ მაინც გარჯილა. გულის სითბოს უშურველად გასცემს ზაური, ჰიპერბოლას არ აკლებს არავის...

იქნებ ამადაც შეაგება სულმნათმა ნოდარ დუმბაძემ — მისმა მოძღვარმა და სულიერმა ძმამ:

„ხარ უკვდავების მთესველი
და სხვათა უკვდამყოფელი!
თუ კაცი ლომი არ არის,
გასტანჯავს წუთისოფელი!"

მაშ, ხანში შესულა ლომი, სევდა მისძალებია, რას ვიზამთ, სამოცი წელი მთლად სახუმარო არ არი..

ჩქარობდა: „ლომო, ჩემგან რა ინტერვიუ გინდაო, ყველაფერი იცი ჩემზეო... აგერ მასალები, ოღონდ არ დამიკარგოო... ელისომ გადარია ესპანელებიო... (ელისო — ქალიშვილი პოეტისა — სახელგანთქმული პიანისტი— მისი იმედია, სიხარულია, სიცოცხლეა)...

* * *

ახლა აღარ მახსოვს, როგორ გავიცანით ერთმანეთი. ალბათ უნივერსიტეტის გაზეთის, მაშინ ჯერ კიდევ „ახალგაზრდა სტალინელის". (1960 წელს) რედაქციაში, სადაც ზაური პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. მის პირდაპირ იჯდა რედაქტორი გაზეთისა — ბატონი ირაკლი ვეშაპიძე, და კიდევ ერთი მაგიდა იდგა იმ მომცრო ოთახში. ეს უფრო წამსვლელ-მომსვლელთათვის, რომლებიც რედაქციაში ხშირად იყვნენ. ზაური პაპიროსს („ყაზბეგს", „რეკორდს" —უსაშველოდ ტარგალეჭილს) ეწეოდა და თან მასალებს ასწორებდა, ანდა სტამბიდან ამოტანილ გაზეთის რომელიმე გვერდს ჩაჰკირკიტებდა...

ერთხელაც გავბედე და ჩემი ნაცოდვილარი ლექსები მოვუტანე (ვინ არ „ცოდვილობდა" ფილოლოგიის ფაკულტეტზე). ჩაიკითხა და ეშმაკური ღიმილით ამომხედა: „ამას დაბეჭდვა რად უნდა, ლომო, გადაწერე და გაავრცელე ხალხში".

ო, რა დღეში იყო პირველი წიგნის გამოსვლის წინ. „ღელვის დასაწყისი" უნივერსიტეტის სტამბაში დაიბეჭდა, სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა რამდენიმე ათეული ცალი წიგნისა მაგარ ყდაში — ლურჯ ლიდერინში — ჩაუსვეს, საჩუქროდ დაგპირდებაო...

მეც მისახსოვრა ეს წიგნი: „ჩემ ძმას — ვილიას..." წააწერა ლამაზად,

უნივერსიტეტის ცხოვრებაში მოვლენად იქცა „ღელვის დასაწყისის" განხილვა. სააქტო დარბაზი სავსე იყო სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით, მეგობარ მწერლებსაც არ დაუკლიათ ზაურისთვის ყურადღება. მახსოვს, რა გულითადად ისაუბრა ზაურ ბოლქვაძის ელვარე ნიჭზე პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ... სხვებმაც...

„არ შეიძლება, — მამულმა გიხმოს
და არ გაუხდე მამულს მემშვილდედ!
არ შეიძლება, — ქართველი იყო
და საქართველოს მტერთან შეშინდე!"

ეს სტრიქონები სწორედ პირველი წიგნიდანაა. ასეთი ეროვნული სულისკვეთება, ასეთი ტემპერამენტი ახლავს ყოველ მის ლექსს — სამშობლოსადმი მიძღვნილს, უშუალო, ქართული კლასიკური პოეზიით ნასაზრდოებ პატრიოტულ ლირიკას. „ღელვის დასაწყისი", შეიძლება ითქვას, სავსეა ასეთი ნიმუშებით.

„უსიმღერობა საშველს არ მომცემს,
გულად იწამა მკერდმა ლექსები!..
მე საქართველოს მიწა მაცოცხლებს
და მის სიყვარულს ვერ დავეხსნები!"

ანდა:

„მე შენი მიწის სიყვარულს ვწერდი
და სიძულვილი რაა, არ ვიცი!
რომ შეგმატოდა სიცოცხლე ერთი,
მე დავიბადე მარტო ამისთვის!
მე შენი მარად სიცოცხლე, მინდა,—
მოწმე არის მაღალი ღმერთი!
მარტო იმიტომ მოვკვდები მშვიდად,
რომ შენ მოგაკლო სიკვდილი ერთი!"

პირველ წიგნში გამორჩეულია „დედა, ზამთარი, შუაცეცხლი"— მშვენიერი ციკლი ლექსებისა, რომელშიც ზაურ ბოლქვაძის პიროვნების, პოეტური ნიჭის ახალი წახნაგები იკვეთება. ეს არის სევდიანი ფიქრები მშობელ კუთხეზე — გურიაზე, სოფელზე, მოხუც დედაზე...

მისი უახლოესი მეგობარი და თანაკურსელი (ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება ერთად დაამთავრეს) პოეტი ტარიელ ჭანტურია ერთგან წერს:

„ყოველი კაცის ცხოვრება ცრემლსა და ღიმილს შორისაა მოქცეული. ამ ორი პოლუსის ფიქრია ზაურ ბოლქვაძის მთელი შემოქმედება. ალბათ არავის, თვით ტერენტი გრანელსაც კი არ უხსენებია იმდენჯერ სიტყვა „სიკვდილი", რამდენჯერაც ზაურ ბოლქვაძეს. პარადოქსია, რომ სწორედ ეს კაცია ყველაზე ღიმილიანი პოეტი ქართულ პოეზიაში".

ვინც ზაურ ბოლქვაძის შემოქმედებას იცნობს, იცნობს მის „სერიოზულ" თუ სალაღობო, მახვილგონივრულ იუმორისტულ ლექსებს, შეუძლებელია არ დაეთანხმოს ტარიელ ჭანტურიას.

„რატომ ამიცრემლე თვალები ცისფრად?!
რატომ გამიყინე მე თოვლი თმებში?!
რატომ ჩაიწია საფლავის მიწა
ამ თეთრი აპრილის თვეში?!..

რატომ ჩაიზნიქა საფლავი შენი?!
რისი ბრალი არის, ნეტავ?!—
აპრილის ჰაერი, ყვავილთა მტვერით,
ხომ არ ჩაისუნთქე, დედავ!"

ზაურ ბოლქვაძე იმ თითებზე ჩამოსათვლელ შემოქმედთა რიცხვშია, რომლებიც, მკაცრი ცენზურის პირობებშიც კი, აზერხებდნენ სათქმელის გაბედულად თქმას. ახლა გაადვილდა ყველაფერი, თორემ სამოციანი წლების ბოლოს ძნელზე-ძნელი იყო ასეთი რამ დაეწერა:

„შენი ღვიძლი მიწა-წყალი
ახატია სხვათა რუკებს! —
წარიტაცა ზოგმა ძალით,
ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს!.."

დაეწერა მკვეთრად, პირდაპირ, ყოველგვარი ალეგორიების მოუშველიებლად. ვერ გეტყვით, რომელმა ჟურნალმა „გააპარა" ეს სტრიქონები (მადლობა რედაქტორს, მთავარი მაინც დაბეჭდვა იყო მისი), ერთი კია, მერე არც ერთ კრებულში აღარ გააპარეს და მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოცემულ წიგნებშია იგი შეტანილი.

* * *

დასაწყისში ვთქვი — სევდიანი მეჩვენა-მეთქი. აბა, რა გასაკვირია: უახლოესი ხალხი გამოაკლდა ირგვლივ, საქართველო, რომელიც მისთვის ყველაფერია, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას და უმშვენიერესი და უმამაცესი ჭაბუკები იხოცებიან მისი ერთიანობისათვის...

— ჟურნალის საქმე როგორ გაქვს-მეთქი —ვკითხე.

— ვიღას უნდა „ნიანგი"?!. აღარც ქაღალდია და აღარც ზუმრობის თავი აქვს ვინმეს!..

* * *

იქნება, ჩემო ზაურ, ყველაფერი სასიკეთოდ იქნება... სისხლით, ცრემლით დუღაბდება თავისუფალი საქართველოს ბალავარი და ღმერთმა ქნას, ის დრო დადგეს, შენ რომ ასე გაწუხებს: იმ გაყიდულ და გაჩუქებულ მიწებზეც ეფიქროს ჩვენი ქვეყნის მომავალს. ჯერ კი რაც გვაქვს, იმასაც გვედავებიან და უმსხვერპლოდ არაფერი გამოდის.

ასე რომ, იმედიანად შეხვდი აპრილის ამწვანებას, ლომს მოწყენა არ შეშვენის!..

ვილენ მარდალეიშვილი.

პატივიც, ტვირთიც

ალექსანდრე ჩივაძე — თბილისის „დინამოსა" და ყოფილი სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი, ელეგანტური ფეხბურთელის განსახიერება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. იგი ახლახან დაამტკიცეს ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელად... ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა მას.

— თქვენ არაერთი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გითამაშიათ. თითოეული მათგანის რომელ დადებით თვისებებს გამოყოფდით?

— მართალი ბრძანდებით. ალიოშა კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მიხეილ იაკუშინი, ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, გერმანე ზონინი, ვალერი ლობანოვსკი, ედუარდ მალოფეევი და კონსტანტინე ბესკოვი — აი ის მწვრთნელები, რომელთაგანაც დიდი გამოცდილება მივიღე. ახალკაცს, ბესკოვსა და ლობანოვსკის საკუთარი შეხედულებები აქვთ ფეხბურთზე, თავისებურად ესმით ფეხბურთი, დიდი წარმატებები ჰქონდათ და სამივემ წარუშლელი კვალი დატოვა ფეხბურთში.

— როდის დაზუსტდება ეროვნული ნაკრები გუნდის კალენდარი?

— ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დაწყებისთანავე.

— გაგვაცანით რესპუბლიკის მთავარი გუნდის სპონსორები.

— ასეთი ჯერჯერობით ერთადერთი გახლავთ — მოსკოვის ბანკ „ატლანტის" თბილისის ფილიალი, რომლის პრეზიდენტის, ბატონ თარხან მაღრაძის ინიციატივით შევქმენით ნაკრების ფონდი. თ. მაღრაძემ ფონდში 5 მილიონი მანეთი ჩარიცხა. ვიმედოვნებთ, რომ მის მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

— ჩვენი გუნდი ახლახან ოფიციალურად მიიწვიეს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე. ვინ დაგეხმარებათ ამ მნიშვნელოვანი ტურნირისათვის გუნდის მომზადების პერიოდში?

— ყველაფერი ახლო მომავალში გადაწყდება.

ჩვენი მიკროსაუბარი ბატონმა საშამ ჟურნალისტებთან ახლო კონტაქტების სურვილის გამოთქმით დაასრულა.

ასე რომ, მომავალ შეხვედრამდე...

სურათზე: საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ევროპის სტადიონებზე

როგორც ყოველთვის, განვლილმა ოთხშაბათმა ევროპაში მძაფრ საფეხბურთო ბრძოლებში ჩაიარა — გაიმართა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

I ჯგუფი. შვეიცარია — პორტუგალია — 1:1.

II ჯგუფი. თურქეთი — ინგლისი — 0:2.

III ჯგუფი. დანია-ესპანეთი — 1:0, ირლანდია-ჩრდილოეთ ირლანდია — 3:0.

IV ჯგუფი. უელსი — ბელგია— 2:0.

V ჯგუფი. უნგრეთი — საბერძნეთი — 0:1.

პენალტის ფასი

ისევე როგორც შარშან, „მილანისათვის" დაუძლეველი აღმოჩნდა იტალიის თასის გათამაშების ნახევარფინალური ბარიერი.

მიუხედავად შინ „რომასთან" საპასუხო მატჩის მოგებისა — 1:0 (გოლი 37-ე წუთზე ერანიომ გაიტანა), ორი შეხვედრის ჯამში საერთო უპირატესობას რომაელებმა მიაღწიეს — 2:1 და ფინალშიც ისინი ითამაშებენ.

სტუმრები დამატებითი დროის ციებ-ცხელებას მეკარე ჩერვონემ გადაარჩინა, რომელმაც ბოლო წუთზე მოიგერია პაპენის მიერ დარტყმული პენალტი.

მილანელები ამავე ეტაპზე გასულ წელსაც გამოუყენებელი 11-მეტრიანის შედეგად გამოეთიშნენ ტურნირს — მაშინ „იუვენტუსის" კარში დანიშნული პენალტი ვერ გაიტანა ბარეზიმ.

წყვილები ცნობილია

გაიმართა ჩოგბურთში დევისის თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა: იტალია — ავსტრალია, გერმანია-ჩეხეთ-სლოვაკეთი, საფრანგეთი-ინდოეთი, შვედეთი-ჰოლანდია.

ეს შეხვედრები 16-18 ივლისს უნდა მოეწყოს.

გურიელი წინ მიიწევს

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ამასწინანდელი ზონალური ტურნირის მეორე პრიზიორი, თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ნინო გურიელი დაშვებულია საზონათაშორისო ტურნირზე.

ამ უფლების მოსაპოვებლად იგი უნდა შეხვედროდა თურქეთში დასრულებულ ანალოგიურ ასპარეზობაზე მეორე ადგილზე გასულ მოჭადრაკეს, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, ეს მატჩი აღარ შედგება — ნინო განაგრძობს ბრძოლას გვირგვინისათვის.

4 მედალი იტალიიდან

იტალიაში დამთავრდა უმაღლესი — „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ტატამის ქართველი ოსტატები.

65 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი დაიმსახურა გიორგი ვაზაგაშვილმა. ვლადიმერ დგებუაძემ 71 კგ წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ კახა ქურასბედიანი (60 კგ), დავით ხახალეიშვილი და კობა კურტანიძე (ორივე — მძიმე წონა).

გუნდურ ჩათვლაში ქართველები მხოლოდ ფრანგებს ჩამორჩნენ.

ხსოვნა

მიხეილ კეკელია

გარდაიცვალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მიხეილის ძე კეკელია.

დაიბადა 1927 წელს სამტრედიის რაიონის სოფ. ნაბაკევში. 1951-1967 წლებში მუშაობდა პროკურატურის სისტემაში სახალხო გამომძიებლად, რაიონის პროკურორად და საქართველოს პროკურორის თანაშემწედ, სადაც მას პროკურატურის გენერლის წოდება მიანიჭეს. 1967 წლიდან გარდაცვალებამდე მ. კეკელია მოღვაწეობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, შემდეგ პროფესორად. 1986 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრის ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორიას, ხოლო 1990 წლიდან — თვით ცენტრსაც".

მ. კეკელია 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია.

იგი იყო უაღრესად აქტიური საზოგადო მოღვაწე. მონაწილეობდა მიწის კანონპროექტის შემუშავებაში, იყო საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის წამყვანი სპეციალისტი, ჟურნალ „სამართლის" რედკოლეგიის წევრი, საქართველოს იურისტთა კავშირის წევრი, სამეცნიერო და მეთოდიკური საბჭოების წევრი.

წავიდა ჩვენგან უაღრესად თავმდაბალი, პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო ცენტრი.

ნოდარ მეძმარიაშვილი



ელდასავით დაგვატყდა თავს მისი გარდაცვალების ამბავი მეგობრებსა და კოლეგებს. სულ მცირეოდენი დროც კი არ მოგვცა, რომ მივგვეხედა მისთვის, რაიმე გვეღონა მის გადასარჩენად.

მას გატაცებით უყვარდა თეატრი. არ დააცალა ბუნებამ, კიდევ ერთ გაზაფხულს რომ შეხვედროდა. ცხოვრებამ მას 46 გაზაფხული აჩუქა მხოლოდ.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა 1974 წელს. 1969 წლიდან კონსერვატორიაში სწავლის პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. 1970 წლიდან იგი სოლისტია ტელევიზიისა და რადიოს ვაჟთა ვოკალური ანსამბლისა.

1977 წელს ნოდარ მეძმარიაშვილი ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სოლისტი გახდა. არავის დაავიწყდება მისი სცენური სახეები — ფაბრიციო „სასტუმროს დიასახლისი", ორლოვსკი „ღამურა", ბარინკაი „ბოშათა ბარონი", მეფე „მაია წყნეთელი", ფირუზა „კურკას ქორწილი", აბრაამი „მევიოლინე სახურავზე" და სხვა.

ვინ იფიქრებდა, რომ 3 აპრილი მასთან გამომშვიდობების დღე იქნებოდა.

წავიდა და დაგვიტოვა განცდა იმ მარადიულისა, რასაც სიკეთე ჰქვია.

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი.

სოლომონ მეუნარგია

გარდაიცვალა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, შრომის ვეტერანი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი სოლომონ ვარლამის ძე მეუნარგია. დაიბადა 1918 წელს თბილისში. ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხრამჰესის მშენებლობაზე, გორის წყალთა მეურნეობის სამმართველოში, თბილჰიდროპროექტში, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, ხოლო შემდეგ ენერგეტიკის ინსტიტუტებში. 1959 წლიდან იგი მუშაობდა თსუ დოცენტად ჯერ ჰიდრომექანიკის, შემდეგ კი მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრებზე.

იგი იყო ჰიდრავლიკის წამყვანი სპეციალისტი, შესანიშნავი ექსპერიმენტატორი და მეცნიერი აღმზრდელი. მას გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

ბატონი სოლომონის სახით დავკარგეთ მაღალი ზნეობისა და ინტელექტის ადამიანი, გულისხმიერი კოლეგა და აღმზრდელი.

თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი; მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრა, ჰიდრომექანიკის კათედრა, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სააქციო საზოგადოება „ინტერმედის" თავმჯდომარეს ზაურ გონაძეს მეუღლის

იზოლდა ისაკაძე-გონაძის

გარდაცვალების გამო.

გზად და ხიდად

ქართული უნივერსიტეტი იუბილეს უხდის გერმანელ პროფესორს

რამდენიმე დღეა, რაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გერმანელ სტუმრებს მასპინძლობს. აქ სამეცნიერო ვიზიტით იმყოფებიან ზაარლანდის უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგი გერტ ჰემელი მეუღლითურთ, რომელიც აგრეთვე არის თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საზოგადოება თბილისელის წევრი; ზაარლანდის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ჰუდე მანი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი შმიდტი მეუღლეებითურთ.

30 მარტს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა დაბადების 60 წლის იუბილე აღუნიშნეს თავიანთ დიდ მეგობარს ბატონ გერტ ჰემელს.

იუბილარის მიმართ გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ბატონებმა როინ მეტრეველმა, თამაზ გამყრელიძემ, ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ, ბატონმა ალეკო კარტოზიამ, გია არსენაშვილმა, სტუდენტმა კოტე გაბაშვილმა.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ის დიდი და კეთილი ურთიერთობა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზაარლანდის უნივერსიტეტს შორის არსებობს, და ამ ურთიერთობაში ბატონი გერტ ჰემელის ღვაწლი, ასევე მისი უდიდესი წვლილი ჟურნალ „გეორგიკას" გამოცემის საქმეში. შეგახსენებთ ეს ერთადერთი პერიოდული ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც საზღვარგარეთ გამოდის.

იუბილარის პატივსაცემად უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სიმფონიურმა ორკესტრმა გამართეს კონცერტი. იუბილეს დაესწრო გერმანიის ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი.

ეკა ლეჟავა.

* * *

სურათზე: თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **როინ მეტრეველი** მიესალმება იუბილარს; სხედან — მარცხნიდან: პროფესორი **თამაზ გამყრელიძე; გერტ ჰემელის** მეუღლე და თავად იუბილარი; გერმანიის ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

წერილი რედაქციას

გადავარჩინოთ „ნერგი,"

ანუ ჩაგვიტყდა პატარებთან მისასვლელი ხიდი?

სანატრელი გაგვიხდა თუნდაც ერთი ბედნიერი წუთი!

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ნორჩი მკითხველების საყვარელ გაზეთს თუ ალმაცერად შეხედავდა ვინმე, ამას კი არა!

„ნერგზე" მოგახსენებთ. საბაზრო თუ ბაზრულმა ეკონომიკამ თავისი კლანჭი ამ გაზეთსაც გამოჰკრა. ბეწვზე დაეკიდა მისი სიცოცხლე: „ნერგს" გაზრდა-გახარება კი არა, ძირიან-ფესვიანად ამოძირკვა დაემუქრა.

ეს რომ შეიტყვეს ნორჩმა მკითხველებმა, სწრაფად დაფაცურებულან, ვისაც როგორ შეეძლო, გაზეთის გადასარჩენად შეუგროვებიათ... 800 მანეთი!

ეჰ, ჩემო კარგებო, ჩემო გულმართალო, გულუბრყვილო და მიამიტო გოგო-ბიჭებო! ამ თქვენი 800 მანეთით ოთხ კილო ქაღალდს თუ შეიძენს კაცი. სამასი კი არა, ასჯერ სამასი მანეთიც ვერ გადაარჩენს თქვენს გაზეთს!

თურმე, რესპუბლიკის საბიუჯეტო კომისიას, ფინანსთა სამინისტროს, მილიონ 64 ათასი მანეთი გამოუყვია გაზეთისათვის, მაგრამ მთავრობაში რომელიღაც პასუხისმგებელ ძიას (მწამს, რომ შვილებისა და შვილიშვილების პატრონი ამას არ იზამდა!) წითელი ფანქრით (იქნებ ლურჯით, ან შავით, ვინ იცის!) დასაფინანსებლად წარდგენილ ჟურნალ-გაზეთების სიაში ბევრი მათგანი რომ ამოუშლია, ეს თქვენი გაზეთიც ზედ მიუყოლებია.

საბავშვო მწერლობა ჯერ ისედაც არ იყო განებივრებული, რაღაც, თითებზე ჩამოსათვლელი ჟურნალები და ერთადერთი გაზეთი ჰქონდა ნორჩთა გულებისაკენ გადებული ხიდად და ისიც...

გაზეთმა, წლების განმავლობაში ფასდაუდებელი სიკეთით სავსე საქმე აკეთა, დიდი სამსახური გაუწია ნორჩებს.

დღეს კი... გაზეთი განწირულია!

სავალალო დღეში ვვარდებით მწერლები და ჟურნალისტები: რით და როგორღა მივაწვდინოთ ჩვენი ხმა ყმაწვილებს? რით და როგორ ვუთხრათ მათ ჩვენი სათქმელი? რით და როგორ ვუმკურნალოთ მათ გულისტკივილს? რა საშუალებით გავუღვივოთ პატრიოტული გრძნობა, კაცთმოყვარეობა, როგორ ვუქადაგოთ ურთიერთ სიყვარული, ზნეობა, პატიოსნება? რა ნიადაგზე უნდა აღიზარდნონ ისინი კეთილნი და პატიოსანნი?

სურვილი სურვილია და აბა, რა გამოვა, პატარებთან მისასვლელი ეს სულიერი ხიდიც თუ ჩაგვიტყდა!

ვაი, სირცხვილო!

თენგიზ გოგოლაძე.

პროცესი გადაიდო

1 აპრილს მთაწმინდის რაიონის სასამართლო დარბაზში დანიშნული იყო სასამართლო პროცესი ქართველ მაშველთა კორპუსის „მხედრიონისა" და გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს" შორის.

მოპასუხე მხარე — გაზეთი „საქართველოს სამრეკლო" არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე.

მთაწმინდის რაიონის მოსამართლის ბატონ ვახტანგ თალაკვაძის ცნობით სასამართლო პროცესი შედგება 8 აპრილს 11.00 საათზე ისნის რაიონის სასამართლოში.

ქართველ მაშველთა კორპუსი — „მხედრიონის" პრესცენტრის ინფორმაცია.

ფერომ მუშაობა განაახლა

ოთხთვიანი იძულებითი გაჩერების შემდეგ მუშაობა განაახლა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ. ელექტროენერგიის მოწოდების შედეგად მეორე და მეოთხე საამქროებში უკვე ჩაირთო სამი ღუმელი.

ამ ღუმელების გახურების ტექნოლოგიური პროცესი ხუთ დღეს გასტანს, შემდეგ კი დაიწყება მზა პროდუქციის გამოშვების უწყვეტი ციკლი.

ჰენრი შარიქაძე.

პური გაუმჯობესდა, მაგრამ...

პურის ხარისხი, რომელიც უკანასკნელი დღეების მანძილზე ამდენ სამართლიან საყვედურს იწვევდა, რამდენადმე გაუმჯობესდა, აღნიშნეს მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომის მონაწილეებმა. პირველი საჭიროების პროდუქტის გარშემო პრობლემის სიმწვავის გარკვეულ შენელებას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის ხარისხოვანი იტალიური ფქვილის, ყაზახეთიდან ხორბლის შემოტანამ, გამომცხვარი პურის მოცულობის გადიდებამ.

მაგრამ სირთულეებიც საკმარისია. მაგალითად, ჯერ კიდევ ხშირია პურის ქარხნებიდან პურის დატაცების, სავაჭრო ქსელში მისი დაგვიანებით შეტანის, დადგენილი სტანდარტით პურფუნთუშეულის ნაწარმის რეალური წონის შეუსაბამობის შემთხვევები.

სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით, გადაწყდა გაზარდონ დიეტური პურის გამოცხობა, უფრო გულდასმით გააანალიზონ ბარტერული ოპერაციებისათვის ლიცენზიათა გამოყენების ეფექტიანობა.

გული ჩემი შენი სიყვარულით არის სავსე...

ამ სიტყვებით მიმართა თბილისს — სიხარულშიც და მწუხარებაშიც მშვენიერ ქალაქს საზოგადოება „თბილისელის" წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ისრაელიდან ჩამოსულმა ცნობილმა მეცნიერმა ლინგვისტმა იცხაკ დავიდმა. იგი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა უნივერსიტეტი. შემდეგ მეცნიერული საქმიანობა ისრაელში განაგრძო, მაგრამ მთელი სიცოცხლე არ განელებია მშობლიური ქალაქის სიყვარული.

საზოგადოების თავმჯდომარე დავით ციციშვილი მიესალმა სტუმარს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებისათვის და გამოაცხადა, რომ იცხაკ დავიდი — დავითაშვილი არჩეულია საზოგადოება „თბილისელის" საპატიო წევრად. შეხვედრაზე ასოციაცია „საქართველო-ისრაელის" პრეზიდენტმა გივი ლამბაშიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა შალვა ციცუაშვილმა, საქართველოში ორგანიზაცია „სოხნუტის" წარმომადგენელმა იაკობ ეფრემაშვილმა, საზოგადოება „თბილისელის" წევრმა თამაზ ნინიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე, ესენი კი არიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — რუსები და სომხები, აზერბაიჯანელები და ქურთები, თუ ბედის განგებით ტოვებენ თბილისს, ვერ ივიწყებენ მას, რადგან თბილისი ყოველთვის უხვად გასცემდა სითბოს, სიყვარულსა და ურთიერთობის სიხარულს და როცა ასობით და ათასობით კილომეტრით არის დაშორებული თავის ქალაქს, ყოველი მათგანი თავს კვლავ თბილისელად, მის ნაწილად მიიჩნევს. საზოგადოების წევრებმა დებმა ალა და ლალი მირილაშვილებმა — მხატვარმა და პიანისტმა —შეკრებილთ თავიანთი ხელოვნება გააცნეს.

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი" 1 აპრილიდან აწარმოებს საფინანსო ოპერაციებს შემდეგი კურსით:

1. რსფსრ-დან საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორება კოეფიციენტით 3,5;
2. საქართველოდან რსფსრ-ში უნაღდო ანგარიშსწორება კოეფიციენტით 0,14;
3. ნაღდ მანეთში უნაღდო მანეთის გაცემა კოეფიციენტით 3,9;
4. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს უნაღდო ანგარიშსწორებით 4000 მანეთად;
5. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის უნაღდო ანგარიშსწორებით 4200 მანეთად;
6. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს ნაღდი ანგარიშსწორებით 765 მანეთად;
7. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის ნაღდი ანგარიშსწორებით 770 მანეთად.

„კაპიტალბანკი" აგრეთვე აწარმოებს კომპლექსურ ანგარიშსწორებას მოსკოვის საკორესპონდენტო და თბილისის ძირითადი ანგარიშებიდან „კაპიტალბანკის" განსხვავებული კურსებით.

ანგარიშსწორება წარმოებს მოთხოვნილებისა და წინადადებების თანაფარდობისას და კურსი ყოველდღიურად იცვლება.

„კაპიტალბანკში" ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა ნიშნავს სნგ-ს ქვეყნებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნას 12 სახის ვალუტაში.

ბანკის საფინანსო ოპერაციების კურსი გამოქვეყნდება ყოველი კვირის სამშაბათს და პარასკევს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 62,
ტელეფონი: 22-22-27, 29-47-59.
ტელეფონი მოსკოვში: 924-94-82.

რეფერენდუმის მოთხოვნაზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

შაბათს, 3 აპრილს დღის 12 საათზე კინოს სახლის დიდ დარბაზში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული სარეფერენდუმო საკითხების სამივე საინიციატივო ჯგუფი აწყობს შეხვედრას რეფერენდუმის ჩატარების მხარდამჭერებთან და ხელმომწერებთან.

2+ სასტაული

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სასტაული+2"

შეისყიდის:
T-16
T-25
T-40
ტრაქტორებს მხოლოდ ვალუტით.
აგრეთვე ზაპოროჟეცის მარკის ავტომობილებს.
ტელეფონი: 30-30-18, 9-დან 8 საათამდე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

1

ინდექსი 66634